სარჩევი

მამუკა გონგაძე – ჰერალდიკის საკითხებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა
MAMUKA GONGADZE – UNIFIED POLICY OF STATE ON HERALDRY 3

საქართველოს სახელმწიფო გერბი
STATE COAT OF ARMS OF GEORGIA 9

საქართველოს სახელმწიფო დროშა
STATE FLAG OF GEORGIA 15

საქართველოს სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო
SYMBOLS OF STATE IMPORTANCE OF GEORGIA 21

კონფერენციები, კონგრესები და სემინარები საზღვარგარეთ
CONFERENCES, CONGRESSES AND SEMINARS ABROAD 55



კონფერენციები, კონგრესები და სემინარები საქართველოში
CONFERENCES, CONGRESSES AND SEMINARS IN GEORGIA 60



ჰერალდიკის საბჭოს ჟურნალი „ჰეროლდი“
“HEROLD” - THE ANNUAL ALMANAC BY THE STATE COUNCIL OF GEORGIA 66

ჰერალდიკის საბჭოს მიერ გამოცემული წიგნები
BOOKS PUBLISHED BY THE STATE COUNCIL OF HERALDRY 75

გამოფენები
EXHIBITIONS 79

საპატიო მედალიონები
HONORARY MEDALLIONS 88

საარქივო მასალა
ARCHIVE MATERIALS 89

საერთაშორისო ურთიერთობები
INTERNATIONAL RELATIONS 97

სხვადასხვა დროს ჰერალდიკის საბჭოსთან არსებული კომისიის წევრები
MEMEBERS OF COMMISSION AT THE STATE COUNCIL IN DIFFERENT TIME PERIODS 102

უცხოელი ექსპერტები საქართველოს ჰერალდიკის საბჭოს შესახებ
FOREIGN EXPERTS ON THE GEORGIAN STATE COUNCIL OF HERALDRY 107

ვებ-გვერდის აღწერილობა
WEBSITE DESCRIPTION 111

პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი – მამუკა გონგაძე
მთავარი რედაქტორი – დავით ჩხეიძე
გამოცემაზე მუშაობდნენ: თამთა მელელაშვილი, ვიქტორია სარჯველაძე, ციცინო ზაქაიძე, მაია ლომაძე, ნათია ცირეკიძე
რედაქტორი – ელენე სალარიძე
დაკაბადონება, დიზაინი – ირმა ჯიშკარიანი
გამომცემელი – საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო
www.heraldika.ge; E-mail: heraldika@parliament.ge

© საავტორო უფლებები დაცულია.

ISSN 2298-0261

ჰერალდიკის საკითხებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა

ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო დაარსდა საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 29 თებერვლის დადგენილებით (№5778-Iს) „საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს შესახებ“. მანამდე სახელმწიფო სიმბოლიკის საკითხები წყდებოდა სხვადასხვა სამართლებრივ ჩარჩოში, 2004 წლის 14 აგვისტოდან საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით (№333) შექმნილი საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ჰერალდიკური კომისიის შესაბამისად.

1990 წლის 14 ნოემბერს საქართველოს მრავალპარტიული უზენაესი საბჭოს პირველივე სხდომაზე, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე რამდენიმე თვით ადრე, 1918-1921 წლების დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლოების საფუძველზე მოხდა ამ სიმბოლოების აღდგენა. სახელმწიფო დროშისა და სახელმწიფო გერბის ესკიზები შეიმუშავეს მ. მაყაშვილმა და მ. ბუთხუზმა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე დაიწყო სახელმწიფოს ისტორიული სიმბოლოების კვლევა. შეიქმნა ეროვნული ვალუტის პირველი ესკიზები, რომლებიც ამჟამად საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმშია დაცული.

1999 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება (2060-IIს) „საქართველოს სახელმწიფოს ატრიბუტიკის შესახებ“, რომლითაც ეთხოვა ქვეყნის პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტისთვის წარედგინა ორგანული კანონის პროექტი სახელმწიფო ატრიბუტიკის შეცვლისა და ისტორიული, ტრადიციული ატრიბუტიკის აღდგენის თაობაზე, რადგან ხანგრძლივი კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს ტერიტორიას დანარჩენი მსოფლიო იცნობდა ხუთჯვრიანი დროშის გამოსახულებით.

2004 წლის 14 იანვარს ქვეყნის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ორგანულ კანონს „საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ“, რომლითაც ხუთჯვრიანი დროშა საქართველოს სახელმწიფო დროშად დადგინდა, ხოლო თარიღი – 14 იანვარი გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფო დროშის დღედ. კანონს თანდართული ჰქონდა ესკიზი, სადაც დროშის ოთხ მკლავში გამოსახული ჯვარი იყო განსხვავებული მოხაზულობის.

მომავალში გაგრძელდა მუშაობა დროშის მხატვრული სახის დახვეწაზე, მაგრამ საბოლოოდ დროშის გამოსახულება ჩამოყალიბდა არა სწორი ჯვრებით, არამედ ბოლნურ-კაცხური სახით. 2014 წელს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დადგენილებით დაზუსტდა დროშის სქემატური ნახაზი და ზომები. საქართველოს საკონსტიტუციო რეფორმის შესაბამისად განხორციელებული ცვლილებების შედეგად 2018 წლის 14 ნოემბრის საქართველოს ორგანული კანონით (3723-Iს) „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ“, ქვეყნის სახელმწიფო დროშის სამართლებრივი სტატუსი კიდევ უფრო განმტკიცდა.

2004 წლის 1-ელ ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა ახალი სახელმწიფო გერბის დადგენას. საქართველოს სახელმწიფო გერბად დადგინდა წმინდა გიორგის ვერცხლის გამოსახულება მეწამულ ველზე. კონკურსში გამარჯვებული ვერსიიდან, რომელიც შედგენილი იყო: წმინდა გიორგის, ცეცხლოვანი მთის, ოქროს საწმისის, მაცხოვრის კვართის გამოსახულებით და შემკული იყო ივერიული გვირგვინით, ორი ფარისმტვირთველი ლომითა და ვაზის წნულით, საქართველოს პარლამენტის პოლიტიკური მხარდაჭერა მოიპოვა მხოლოდ წმინდა გიორგის გამოსახულებამ.

მხატვრული და მოცულობითი ეტალონის დამზადებისას გერბის წნულზე დატანილია ვერცხლის ველზე გამოსახული მეწამული ჯვრები, საქართველოს სახელმწიფო დროშასთან კავშირის დასტურად, ასევე გერბის ფარმა მიიღო ე.წ. ფრანგული ფარის ფორმა. სხვა სახეცვლილება საქართველოს სახელმწიფო გერბს აღარ განუცდია. მისი აღწერილობა და გამოყენების სფერო შესულია საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს სახელმწი-

ფო გერბის შესახებ“. საქართველოს საკონსტიტუციო რეფორმის შესაბამისად განხორციელებული ცვლილებების შედეგად 2018 წლის 14 ნოემბრის საქართველოს სახელმწიფო გერბის სამართლებრივი სტატუსი განმტკიცდა, აღწერილობა განისაზღვრა საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ“, ხოლო გამოყენების სფერო საქართველოს კანონით „სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის“ შესახებ.

სახელმწიფო სიმბოლოების დადგენის შემდეგ დღის წესრიგში დადგა სახელმწიფოს ჰერალდიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და წარმართვის საკითხი. ჰერალდიკურად სახელმწიფოს ერთიანი სახის მისაღებად, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობების, ისე სახელმწიფო დაწესებულებათა დონეზე. 2008 წელს ელდარ შენგელაიას მოთავეობით შეიქმნა ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო, როგორც საჯარო დაწესებულება. მასში გაერთიანდნენ ის პირები, რომლებიც დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მოყოლებული, „ჰერალდიკის ასოციაციის“ შესაბამისად, ნებაყოფლობით საწყისებზე სწავლობდნენ და აზუსტებდნენ სახელმწიფო ჰერალდიკურ ტრადიციას.

საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს ამოცანას წარმოადგენდა ჰერალდიკური მემკვიდრეობის, სახელმწიფოსთან დაკავშირებული სიმბოლოებისა და ნიშნების აღმოჩენა და მათი კვლავ ჩართვა სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესში. ტრადიციულად, ჰერალდიკა ეფუძნებოდა მემკვიდრეობითობის პრინციპს, მაგრამ დემოკრატიულმა წყობამ აუცილებელი გახადა სიმბოლოთა მინიჭება დამყარებოდა არჩევითობის, წარმომადგენლობითობის პრინციპს. ქვეყნის ტერიტორიული დაყოფა საშუალებას იძლეოდა, არჩევით ორგანოს დაედგინა მუნიციპალური დროშა და გერბი.

„თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2010 წელს შეტანილი ცვლილების საფუძველზე თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების სიმბოლოების გერბისა და დროშის დადგენა შესაძლებელი გახდა ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან შეთანხმებით. ერთიანი სისტემის შემუშავების მიზნით, საბჭომ დაადგინა ფარისა და შემამკობლის უნიფიცირებული ფორმები, მნიშვნელობის მიხედვით გამიჯნა შემამკობლების ტიპი და შინაარსი. ყველა მუნიციპალიტეტისთვის დადგინდა ე.წ. ფრანგული ფარი, მოსაზღვრე სოფლების შემთხვევაში ერთ-, ძირითადად სამ-, ყოფილი დედაქალაქების შემთხვევაში, ოთხქონგურიანი გვირგვინებით.

ამასთანავე მუნიციპალური სიმბოლოების გამოსავლენად შემუშავდა კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო კომისიის შემადგენლობის, საბჭოს წარმომადგენლის ჩართვისა და საკონკურსო პირობების ზოგადი წესები. დადგინდა ჰერალდიკის უზოგადესი ნორმების გათვალისწინების, ფერთა გამოყენების, ფარებზე ფიგურების პრიორიტეტების მიხედვით დატანის, აღწერილობების, ე.წ. ბლაზონების შედგენის წესები.

საბჭომ თავის მხრივ შეიმუშავა სახელმძღვანელო კრიტერიუმები, რომელსაც უპირატესობა უნდა მინიჭებოდა კონკრეტული მუნიციპალიტეტის შემთხვევაში: ჰერალდიკური ან ვექსილოლოგიური მემკვიდრეობა; მუნიციპალიტეტის მაპროფილებელი კულტურული, გეოგრაფიული, ეკონომიკური დატვირთვა. მნიშვნელობა ენიჭებოდა ასევე ტოპონიმიკურ, ისტორიულ მახასიათებლებს. 10 წლის განმავლობაში საბჭომ კოორდინაცია გაუწია 67 მუნიციპალიტეტის დროშისა და გერბის დადგენას. რიგ შემთხვევაში მუნიციპალიტეტებმა შეიცვალეს ტერიტორიული თუ სამართლებრივი სტატუსი, რასაც შესაბამისად მოჰყვა სიმბოლოების ცვლილება.

მიუხედავად იმისა, რომ კომისია ჩართული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოების დადგენის საქმეში, საბჭომდე მოქმედი კომისიის სტატუსმა ვერ უზრუნველყო ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოების ჰერალდიკური წესების სრული დაცვით დადგენა. მოგვიანებით საბჭომ ავტონომიური რესპუბლიკების მუნიციპალიტეტებში ჩამოაყალიბა მხატვრულ-შინაარსობრივი კავშირი რესპუბლიკის სიმბოლოებთან, მაგრამ თავად სიმბოლოები ჯერ კიდევ საჭიროებს ჰერალდიკურ ნორმებთან და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ისტორიულად დაფიქსირებული სიმბოლოების შესწავლის შედეგად, ჰერალდიკურ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით აიგო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დროშისა და გერბის პროექტები, რომლებიც ამჟამად განიხილება. სწორედ, სებასტოპოლის (დღევანდელი სოხუმის) თავზე

საუკუნეთა განმავლობაში აღმართული დროშების ნიმუშების საფუძველზე შემუშავდა ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის პროექტი, მაგრამ საბოლოოდ იგი მცირე გაუმართლებელი სახეცვლილებით დადგინდა.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე არჩევითი ორგანოების ფუნქციონირება შეჩერებულია ტერიტორიიდან მკვიდრი მოსახლეობის იძულებით გადაადგილების გამო, რაც დროებით შეუძლებელს ხდის მუნიციპალური სიმბოლოების შექმნასა და დადგენას აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

მუნიციპალიტეტებისგან განსხვავებით, შემამკობელი აქვთ თვითმმართველი ქალაქების გერბებს, ისტორიული დედაქალაქები (ქუთაისი, მცხეთა) წარმოდგენილნი არიან ოთხქონგურიანი გვირგვინით ოქროში, დანარჩენი ვერცხლში. საზღვაო ქალაქების გერბებს ამკობთ ღუზები. ხსენებული სიმბოლოების შექმნისას გათვალისწინებულია ასევე კლასიკური ჰერალდიკური მემკვიდრეობა, რომელიც ქალაქებს ჰქონდათ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნისას, კერძოდ XIX საუკუნიდან.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ჰერალდიკურ მემკვიდრეობაში ისტორიულად გამოიკვეთა დასავლეთში მწვანე, ხოლო აღმოსავლეთში წითელი ფერების უპირატესობა. იგივე განხორციელდა სახელმწიფო პოლიტიკაშიც. ისევე როგორც საზოგადოდ ჰერალდიკაში, გამოირიცხა ფერთა გრადაციების გამოყენება და ფერების რაოდენობა შეიზღუდა: მეწამულისა და ვერცხლის, როგორც სახელმწიფო ფერების, ლაჟვარდის, ოქროს, სევადის, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში ძოწისფერი, ე.წ. პურპური, კერძოდ ნინოწმინდისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების შემთხვევაში.

საერთაშორისო ექსპერტებისა და ინსტიტუტების შეფასებით და დღევანდელი მონაცემებით, საქართველოს მუნიციპალური სიმბოლოები ერთ-ერთი საუკეთესოა არა მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში. უმაღლესი შეფასება დაიმსახურა დიდი ბრიტანეთის „დროშების ინსტიტუტში“, ე.წ. „Flag Institute“-ში, სადაც ჰერალდიკის საბჭოს თავმჯდომარე ჰერალდიკის საერთაშორისო აკადემიის ასოცირებულ წევრად აირჩიეს.

სამართლებრივად ჰერალდიკის საბჭოსთან შეთანხმების ვალდებულებამ შესაძლებელი გახადა ერთიანი ჰერალდიკური პოლიტიკის წარმართვა. იმავე გამოცდილებით მიდგომა გავრცელდა სახელმწიფო დაწესებულებებისადმი. 2019 წლის 22 თებერვლის საქართველოს კანონით (4313-IIს) „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს პარლამენტმა სახელმწიფო დაწესებულებები დაავალდებულა ნებისმიერი სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს დადგენის ან ცვლილების საკითხები წარუდგინონ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს დასკვნისათვის.

წლების განმავლობაში საბჭო სიმბოლოების (ემბლემების, განმასხვავებელი ნიშნების, უწყებრივი ჯილდოების, უნიფორმების) შექმნის, სრულყოფისა და დადგენის მიზნით მჭიდროდ თანამშრომლობდა სამართალდამცავ და ძალოვან უწყებებთან. შედეგად შემუშავდა და დადგინდა სამხედრო-საბრძოლო დროშების, ემბლემების სრული პაკეტი. გაიმართა რიგი უწყებების, სასაზღვრო პოლიციის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დაჯილდოების სისტემები, განმასხვავებელ ნიშანთა ერთობლიობები.

მიუხედავად ამისა, იმ სახელმწიფო დაწესებულებისადმი, რომელსაც ჰქონდა სიმბოლოების დადგენის უფლებამოსილება, ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს კომპეტენცია განისაზღვრებოდა მხოლოდ სარეკომენდაციო ფუნქციით. აღნიშნულმა უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების, საქვეუწყებო დაწესებულებების სიმბოლოები დააშორა ერთიან მხატვრულ-შინაარსობრივ სტილს და საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რამაც საბოლოოდ მოგვცა სახელმწიფო სიმბოლიკის ეკლექტური სახე, გაართულა ქვეყნის სახელმწიფოებრიობის ამოკითხვა მისივე დაწესებულებათა ემბლემებიდან, განმასხვავებელი ნიშნებიდან. კანონმა „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ შესაძლებელი გახადა, საბჭოს წარემართა ერთიანი ჰერალდიკური პოლიტიკა სახელმწიფო დაწესებულებებისადმი.

საერთაშორისო პრაქტიკისა და ჰერალდიკური ნორმების გათვალისწინებით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებებს, გარდა სამართალდამცავი და ძალოვანი უწყებებისა, გამოესახათ მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო გერბი, როგორც ეს დამკვიდრებულია თანამედროვე მსოფლიოში, ხოლო საჯარო სამარ-

თლის იურიდიული პირებისა და დაწესებულებებისთვის, რომელთაც აქვთ კომერციული საქმიანობის უფლებამოსილება, განისაზღვრა მცირე სახელმწიფო გერბი ან სრული თავისუფლება საერთო სახელმწიფო სტილთან შესაბამისობაში ერთი დათქმით: სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო – ემბლემა გარკვეულ მხატვრულ შინაარსობრივ კავშირს უნდა ავლენდეს სახელმწიფო სიმბოლოებთან და შესაძლებელს ხდიდეს წარწერის გარეშე დაწესებულების საქართველოს სახელმწიფოსთან გაიგივებას.

საქართველოს სახელმწიფო გერბის უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულებების მიერ სხვადასხვაგვარი გამოსახვის გამოსარიცხად, საბჭომ დამკვიდრებული საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შეიმუშავა მთავრობის ბრენდირების რამდენიმე ვერსია, ხოლო დაბალი კატეგორიის სახელმწიფო დაწესებულებისთვის, რომელსაც მინიჭებული აქვს ფუნქციონირების თავისუფლება, სიმბოლოს შემუშავების დამხმარე მითითებები: ორი ძირითადი სახელმწიფო ფერის – ვერცხლისა და მეწამულის გამოყენება. ასევე საქართველოს სახელმწიფო გერბთან, დროშასთან ნებისმიერი მხატვრულ-შინაარსობრივი კავშირი: ხუთჯვრიანი კომპოზიცია, მცირე ჯვარი, წმინდა გიორგის გამოსახულება.

ხსენებული მიდგომით სახელმწიფო სიმბოლოები ასახვას პოვებენ სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოებში, რაც სახელმწიფო სტილს ხდის უნიფიცირებულს, აღსაქმელსა და ლაკონიურს. შედეგად საქართველოს მოქალაქე, სტუმარი იოლად ამოიცნობს სამხედრო მოსამსახურეს, სამართალდამცავს, მესაზღვრეს, სახელმწიფოს წარმომადგენელს, რაც აადვილებს სახელმწიფოსა და მოქალაქის კომუნიკაციას და ზრდის ორივე მონაწილის პასუხისმგებლობას. ამ გაგებით, ჰერალდიკა სცილდება ესთეტიკური გემოვნების სფეროს და გადადის სემიოტიკაში, რაც თავის მხრივ ჰერალდიკური ნიშნების დადგენის პროცესს აქცევს მკაცრ, მარტივ და ერთგვაროვან ჩარჩოში.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ჯერ მოხდა გამიჯვნა საბჭოთა სტილიდან და თანდათან დაიწყო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ტრადიციული სახელმწიფოებრივი სტილის დადგენა. დღეს პატრულის თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის უნიფორმა, განმასხვავებელი ნიშანი სრულ შესაბამისობაშია დასავლურ სტანდარტებთან. სახელმწიფო სერვისები ნაცნობი სიმბოლოების საშუალებით ადვილად ამოსაცნობი და ხელმისაწვდომია. სახელმწიფო სტილით განსხვავდება საქართველოს მოქალაქის პასპორტი, პირადობისა და მართვის მოწმობები, სახელმწიფო საქმის წარმოების დოკუმენტები (ბლანკები, ჭვირნიშნები).

გარდა სიმბოლოების შემუშავებისა და დადგენისა, საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთ სფეროს წარმოადგენს სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების გამოსახვის, აღმართვისა და გამოფენის წესების დადგენა და დანერგვა, რისთვისაც საბჭო ამზადებს სახელმძღვანელო ბიულეტენებს, პროტოკოლის სამსახურებთან ატარებს ახსნა-განმარტებით შეხვედრებს.

საბჭომ საერთაშორისოდ დამკვიდრებული (ჩეხეთის, დიდი ბრიტანეთის, პორტუგალიის) მოქმედი წესების გადამუშავების საფუძველზე მოამზადა „საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების გამოსახვის, აღმართვისა და გამოფენის წესი“, რომელმაც საბოლოოდ ასახვა პოვა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 14 ივნისის 282-ე დადგენილებაში. წესები მოიცავს ღია ცის ქვეშ, შენობაში, სატრანსპორტო საშუალებებზე, სახელმწიფო ღონისძიებებისა და სამხედრო აღლუმების დროს გლოვისას საქართველოს სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების გამოსახვის, აღმართვისა და გამოფენის პროტოკოლს.

სახელმწიფოებრიობის წყვეტამ, თავს მოხვეულმა იდეოლოგიურმა და პარტიულმა სიმბოლიკამ საზოგადოებაში წარმოაჩინა სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოებისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება. საბჭოს საქმიანობის მიმართულებას ასევე წარმოადგენს სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოებისადმი საზოგადოებრივი ცნობადობის გაზრდა და ღირსეული პატივით მოპყრობის დამკვიდრება. ამ მიზნით, საბჭო აწყობს გამოფენებს, ატარებს ლექციებსა და შეხვედრებს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფში. საბჭომ საქართველოს თითქმის ყველა მუნიციპალიტეტისთვის მოაწყო მსგავსი ხასიათის 20-ზე მეტი გამოფენა და საჯარო ლექცია.

საზოგადოებისთვის საბჭოს საქმიანობის გაცნობას, გამჭვირვალობას ემსახურება საბჭოს ვებგვერდი, სადაც ქვეყნდება სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოებთან დაკავშირებული სიახლეები, თავმოყრილია სახელმწიფო, ტერიტორიული ჰერალდიკური ნიმუშები, სამართლებრივი აქტები, კავკასიისა და დასავლეთ ევროპის ისტორიული და მოქმედი სიმბოლოები. საბჭოს ვებგვერდი წარმოადგენს მუნიციპალურ და არა მხოლოდ სიმბოლოების ერთგვარ რეესტრს, რომელიც მუდმივად ივსება ისტორიული, მოქმედი და ახალდადგენილი სიმბოლოებით და მათი აღწერილობებით. სიმბოლოებისა და მათი ისტორიული საფუძვლების პოპულარიზაციის საქმეში აღსანიშნავია ასევე ვირტუალური და ერთობლივი მუდმივმოქმედი გამოფენები: საქართველოს პარლამენტში, ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოში, საჯარო ბიბლიოთეკაში.

სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შემუშავებისა და დადგენის პროცესი მოიცავს საქართველოს ტერიტორიასთან დაკავშირებული სიმბოლოების მოძიებასა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამის დანერგვას, სახელმწიფოებრიობისა და მემკვიდრეობითობის უწყვეტობის ხაზგასასმელად. ამ მიზნით საბჭო მუდმივად იკვლევს როგორც საქართველოში, ისე უცხოეთის არქივებში, ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში დაცულ მასალებს. შედეგად, საბჭოს მიერ მოძიებული და დიგიტალიზებულია ბევრი ისტორიული საზღვაო რუკა, სხვადასხვა საგერბო ატლასში, ცნობარში საქართველოს სახელმწიფოებრიობასთან დაკავშირებული ჰერალდიკური ნიმუში, გამოსახულება, არტეფაქტი.

მოპოვებული ჰერალდიკური მასალის, ახალშექმნილი და დადგენილი სიმბოლოების შესახებ ინფორმაციის, ქართველი და უცხოელი ექსპერტების, ჰერალდიკის, ვექსილოლოგიის, ფალერისტიკისა და ნუმიზმატიკის სპეციალისტთა სამეცნიერო და შემეცნებითი სტატიების საზოგადოებისთვის გაცნობა მიმდინარეობს ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს ყოველწლიურ ჟურნალ „ჰეროლდის“ საშუალებით. გამოცემაში ქვეყნდება საბჭოს წევრთა მიერ მომზადებული, დამტკიცებული, ასევე ჯერ დაუდგენელი სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების (ინსიგნიების, ბუნიკების, ბანკნოტების, მონეტების, გონფალონების) პროექტები, სიმბოლოებთან დაკავშირებული მოქმედი და ისტორიული სამართლებრივი აქტები.

„ჰეროლდი“ ხელს უწყობს სახელმწიფო სიმბოლიკის სფეროში განხორციელებულ ცვლილებათა ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას და მომავალში განსახორციელებელი პროექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას; მეტი თვალსაჩინოება შეაქვს ჰერალდიკური პოლიტიკის საკითხებში, აუცილებელი სამართლებრივი და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაში. 2012 წლიდან გამოცემულია ჟურნალ „ჰეროლდის“ მაღალპოლიგრაფიულად შესრულებული 10 ნომერი.

საქართველოს სახელმწიფოსა და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების პოპულარიზაცია მიმდინარეობს საერთაშორისო ბეჭდურ და ინტერნეტგამოცემებში თანამშრომლობითა და როგორც რესპუბლიკურ, ასევე საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით, სიმბოლოებთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების თარგმნით. ჰერალდიკისა და ვექსილოლოგიის სფეროში მოღვაწე მკვლევართა, ჰერალდიკის საბჭოებთან და ინსტიტუტებთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის საშუალებით.

საბჭო სამ წელიწადში ერთხელ ატარებს ეროვნულ კონფერენციას ჰერალდიკისა და ვექსილოლოგიის, ფალერისტიკისა და ნუმიზმატიკის საკითხებზე, რომელშიც მონაწილეობენ სხვადასხვა ქვეყნის წამყვანი სპეციალისტები. საბჭომ ასეთი ორი კონფერენცია გამართა თბილისსა და მესტიაში 2016 და 2019 წლებში. კონფერენციის მასალები გამოიცა თეზისების სახით. გარდა ამისა, საბჭოს წარმომადგენლები მოხსენებებით გამოდიან საერთაშორისო კონგრესებსა და კონფერენციებში. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების შესაბამისად, საქართველოს ჰერალდიკის საბჭო თანამშრომლობს პორტუგალიის, ფლანდრიის, ჩეხეთის, ლიეტუვის შესაბამის უწყებებთან; გაწევრიანებულია FIAV-სა და ჰერალდიკის საერთაშორისო ასოციაციაში (AIH), რომლის ასოცირებული წევრიცაა ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს მოქმედი თავმჯდომარე.

საქართველოს ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო ასევე თანამშრომლობს ჰერალდიკის საერთაშორისო აკადემიასთან, რომელიც ამ სფეროში ერთ-ერთი ავტორიტეტული ორ-

განიზაციაა მსოფლიოში. იგი დაარსებულია 1949 წელს და აერთიანებს ჰერალდიკაში ყველაზე გამოჩენილ მოღვაწეებს მსოფლიოში.

აღნიშნულთან ერთად საბჭო სიმბოლიკის სფეროში არსებულ აქტუალურ პრობლემებზე მართავს ადგილობრივ უწყებათაშორის კონფერენციებსა და შეხვედრებს. ასე, მაგალითად: 2016 წელს თელავში კონფერენცია მიეძღვნა მუნიციპალური სიმბოლოების დადგენას, ხოლო 2017 წელს წყალტუბოში – თბილისის გერბისა და დროშის საკითხებს.

ჰერალდიკის საბჭო დებულებითა და კანონმდებლობით არ არის ვალდებული, უშუალოდ ჩაერთოს სიმბოლოების შექმნის პროცესში. მიუხედავად ამისა, იგი მჭიდროდ თანამშრომლობს სახელმწიფო უწყებებთან სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შექმნისა და ჰერალდიკურ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის მიმართულებით. საბჭოს სპეციალისტების შექმნილია არაერთი დაწესებულების ემბლემა, ჯილდო, განმასხვავებელი ნიშანი, ასევე კონკურსით გამოვლენილი სიმბოლოს ავტორთან თანამშრომლობით მიღწეულია სასურველი შედეგი, დაცულია აუცილებელი სტანდარტი.

ჰერალდიკური პოლიტიკა, რომელსაც წარმართავს საბჭო, მიმართულია სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შემცირებისა და ერთგვაროვნებისკენ, რაც ემსახურება საბოლოოდ მარტივი, მკაცრი და მეტყველი სახელმწიფო სტილის დამკვიდრებას. მთავარი ბერკეტი, რომელსაც ამ თვალსაზრისით გამოიყენებს საბჭო, არის შეთანხმების ფუნქცია, რაც იძლევა საშუალებას საერთო ჩარჩოში მოექცეს და დარეგულირდეს არსებულ სიმბოლოთა ცვლილებები და ახლის დადგენა.

მრავალი საკითხის მოწესრიგებასთან ერთად საბჭო ჯერ ისევ დგას მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე. მუნიციპალური სიმბოლოებიდან დარჩენილია თბილისის სიმბოლოები, რომლებიც ჰერალდიკურ ნორმებთან შესაბამისობაშია მოსაყვანი. ასევე დასახვეწია სახელმწიფო და უწყებრივი დაჯილდოების სისტემები. სახელმწიფო ჯილდოების საერთო სახე ეკლექტურია, სტატუტები – დაუზუსტებელი, ჯილდოები კი გაცემის რაოდენობის გათვალისწინებით, ნაწილობრივ დევალვირებული.

შესაქმნელია სახელმწიფო შრიფტი, რომელსაც ოფიციალური მიმოწერისას გამოიყენებს სახელმწიფო დაწესებულება. ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შეუსაბამობა ეტალონებთან, რაც მოითხოვს სტანდარტიზაციისა და მწარმოებლის ლიცენზირების გამოყენებას სიმბოლოების შექმნისას. ხშირია სიმბოლოების გამოსახვა, აღმართვა და გამოფენა წესის დარღვევით (მაგალითად, აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან აღმართულია საქართველოს სახელმწიფო დროშა, რაც გამართლებულია მხოლოდ სახელმწიფო საზღვრის შემთხვევაში. მუნიციპალიტეტების ურთიერთგამიჯვნა ხდება მუნიციპალური სიმბოლოებით). ჯერ ისევ დასადგენია სახელმწიფო ღონისძიების – პრეზიდენტის ინაუგურაციის წესი, დროშების ბუნების ერთგვაროვანი სახე, საქართველოს სახელმწიფო დროშის ბანერებისა და გონფალონების ფორმა. ასევე ეროვნული ფულის ნიშნის ყველა სახეობაზე საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახვა, ხოლო შესაბამის უმაღლეს სასწავლებლებში ჰერალდიკის სწავლება.

არანაკლებ საყურადღებოა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჰერალდიკის შესწავლის საკითხი და მისი ჩართვა სასწავლო პროგრამებში, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლე ახალგაზრდობაში სიმბოლოების შესწავლას. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი მაუწყებლის როლი საზოგადოებაში სიმბოლოებისადმი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში.

მამუკა გონგაძე

საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის
სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს სახელმწიფო გერბი

1999 წლის 9 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა სახელმწიფო ატრიბუტიკის შეცვლას და მიიღო დადგენილება (2060-IIს) „საქართველოს სახელმწიფო ატრიბუტიკის შესახებ“, რომელიც მოიცავს ორ მუხლს:

1. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს ორგანული კანონის პროექტი, სახელმწიფო ატრიბუტიკის შეცვლისა და ისტორიული, ტრადიციული ატრიბუტიკის აღდგენის თაობაზე.
2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 2 მარტის ბრძანებულებით (№76) საქართველოს სახელმწიფო გერბის შეცვლის მიზნით შეიქმნა „საქართველოს სახელმწიფო ატრიბუტიკის პრობლემათა შემსწავლელი და წინადადებათა შემმუშავებელი დროებითი სახელმწიფო კომისია“, რომელსაც უნდა უზრუნველეყო საქართველოს სახელმწიფო გერბისა და გერბის დევიზის შესარჩევი კონკურსის ჩატარება. იმავე წლის 12 მარტს დროებითმა სახელმწიფო კომისიამ მუშაობა დაიწყო.

2004 წლის 20 მაისს კომისიამ გამოავლინა გამარჯვებული გერბი, რომლის ავტორიც იყო მამუკა გონგაძე. ავტორს გადაეცა ჟიურის შენიშვნები. ჟიურის მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ გადამუშავებული სახელმწიფო გერბის პროექტი გადაეცა სახელმწიფო კომისიას.

2004 წლის 21 მაისს სახელმწიფო გერბის საუკეთესო პროექტი წარედგინა საზოგადოებას.

საქართველოს სახელმწიფო გერბის კონკურსში გამარჯვებული გერბის აღწერილობა:

სახელმწიფო გერბი წარმოადგენს:

ოქროს ჯვრით გაკვეთილ-გადაკვეთილ ჰერალდიკურ ფარს, ცენტრში მცირე ჰერალდიკური ფარით.

მცირე ფარში – ძოწის ველზე გამოსახულია მაცხოვრის ვერცხლის კვართი.

პირველ-მეოთხე ნაწილებში – მეწამულ ველზე გამოსახულია ოქროს ჯვრით დაბოლოებული ვერცხლის შუბით ვერცხლის გველეშაპის განმგმირავი ოქროს შარავანდედიანი ვერცხლის მხედარი – წმინდა გიორგი;

მეორე ნაწილში – ლაჟვარდოვან ველზე ოქროს ასოებით ირიბად ისრისპირებით ზევით გამსჭვალული ოქროს მთა;

მესამე ნაწილში – ლაჟვარდოვან ველზე გამოსახულია ოქროს საწმისი. ფარს თავზე ადგას – ქართული ანუ ივერიული გვირგვინი;

ფარისმტვირთველები – ოქროს ორი ლომი;

ფარის ქვეშ ბეისმენტი – ვაზის ქართული, სტილიზებული ორნამენტი;

სადევიზე ბაფთაზე – დევიზი (ლეგენდა) „ძალა ერთობაშია“.



კონკურსში გამარჯვებული საქართველოს სახელმწიფო გერბის პროექტი

საქართველოს სახელმწიფო მცირე გერბის აღწერილობა:

სახელმწიფო მცირე გერბი წარმოადგენს:

ჰერალდიკურ ფარს;

მეწამულ ველზე გამოსახულია ოქროს ჯვრით დაბოლოებული ვერცხლის შუბით, ვერცხლის გველშაპის განგმირავი ვერცხლის მხედარი წმინდა გიორგი ოქროს შარავანდედით;

ფარს თავზე ადგას – ქართული ანუ ივერიული გვირგვინი.

2004 წლის 25 მაისს შედგა საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომა, რომლის დღის წესრიგში მხოლოდ ერთი საკითხი იყო: „საქართველოს სახელმწიფო გერბის შესახებ“ კანონპროექტის განხილვა. დებატები ძირითადად სახელმწიფო გერბის პროექტის ირგვლივ გაიმართა.

სახელმწიფო გერბის ზოგიერთი სიმბოლოს გარშემო პარლამენტის წევრებს შორის გაჩნდა აზრთა სხვადასხვაობა. საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა ივნისის ბოლო დეკადისათვის გადაედო. დარჩენილ პერიოდში ჰერალდიკის სახელმწიფო კომისიას და სახელმწიფო გერბის პროექტის ავტორს კონსულტაციები უნდა გაემართათ ყველა დაინტერესებულ პირთან.

მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფო კომისიამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ჰერალდიკურ სამსახურებს გადაუგზავნა სახელმწიფო გერბის პროექტი სათანადო დასკვნებისა და რეკომენდაციების მისაღებად. ჰერალდიკური ორგანიზაციები გამოეხმაურნენ პროექტს. სახელმწიფო კომისიამ მიიღო ჰერალდიკების წერილი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

პარლამენტში მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, მიმდინარეობდა კონსულტაციები სახელმწიფო კომისიასა და პარლამენტის წევრებს შორის. საჯაროდ რამდენიჯერმე განიხილეს პროექტი. მასში მონაწილეობდნენ ისტორიკოსები, ჰერალდიკოსები, საზოგადოების წარმომადგენლები. სახელმწიფო კომისიამ საზოგადოებას გააცნო მსოფლიო ჰერალდიკური ორგანიზაციების, უცხოელი ჰერალდიკოსების დასკვნები კონკურსში გამარჯვებული გერბის პროექტის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული საქართველოს სახელმწიფო გერბი, 2004 წლის 1 ოქტომბერი

ხანგრძლივი და მრავალმხრივი მსჯელობის შედეგად სახელმწიფო კომისია, პარლამენტარები, საზოგადოება და ავტორი შეჯერდნენ. საფუძვლად აღებულია გამარჯვებული სახელმწიფო გერბის პროექტი. გერბის შემადგენელი ნაწილები დარჩა იგივე: ფარი, გვირგვინი, ფარის მტვირთველები, დევიზი, კომპორტერი (მცენარეული შესამკობელი). მთავარი შემადგენელი ელემენტი – ჰერალდიკური ფარი – გახდა ერთფიგურიანი. სახელმწიფო გერბის ფარზე გამოისახა წმინდა გიორგი. ეს გერბი თემატური გაგრძელებაა 1735 წლით დათარიღებული ვახუშტი ბატონიშვილისეული სახელმწიფო გერბისა;

2004 წლის 1-ელ ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო და დაამტკიცა საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახელმწიფო გერბის შესახებ“.

საქართველოს სახელმწიფო გერბის ეტალონების შექმნა (ლონდონი, 2004 წლის 18-26 დეკემბერი)

2004 წლის 1-ელ ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს სახელმწიფო გერბის დამტკიცების შემდეგ დღის წესრიგში დადგა გერბის ეტალონების დამზადება. გერბის ავტორმა ეტალონები შეასრულა დიდი ბრიტანეთის ჰერალდიკურ კოლეჯში.

სახელმწიფო გერბის ავტორმა მხატვარ-ჰერალდიკოსმა მამუკა გონგაძემ ჰერალდიკურ კოლეჯში შეასრულა საქართველოს სახელმწიფო გერბი და მცირე სახელმწიფო გერბი: ფერში, კონტურული და დაშტრიხული ვერსიები. გამოსახულებაში შევიდა ცვლილებები, კერძოდ: ბაფთაზე, სადევიზე წარწერის თავსა და ბოლოში გამოისახა მეწამული ჰერალდიკური ჯვრები. ამრიგად, ამ ცვლილებით სახელმწიფო გერბში დაფიქსირდა სახელმწიფო დროშის ელემენტები. ამან კი, თავისთავად გამოიწვია საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს სახელმწიფო გერბის შესახებ“ ცვლილების შეტანა; აღნიშნული ცვლილებები საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა 2005 წლის 3 ივნისს (№1549).

საქართველოს სახელმწიფო გერბის ეტალონი, ლონდონი, 2004 წლის 18-24 დეკემბერი

საქართველოს სახელმწიფო გერბის ეტალონი ფერში

საქართველოს სახელმწიფო გერბი ერთ ფერში

საქართველოს სახელმწიფო გერბის მოცულობითი ეტალონების დამზადება

საქართველოს მთავრობის განკარგულებით (№65, 2006 წლის 9 თებერვალი) შეიქმნა „საქართველოს სახელმწიფო გერბის ნიმუშების (ეტალონების) საერთაშორისო ჰერალდიკური სტანდარტების დონეზე დამზადების სამუშაოთა კოორდინირებულად განხორციელების სამუშაო ჯგუფი“, რომელშიც მთავრობისა და ჰერალდიკური კომისიის წევრები შევიდნენ. საქართველოს მთავრობის კანცელარიასა და ნიდერლანდების სამეფო ზარაფხანას შორის გაფორმდა ხელშეკრულება, საქართველოს სახელმწიფო გერბის მოცულობითი ეტალონის ოთხი სხვადასხვა სახეობის დამზადების შესახებ. ნიდერლანდების სამეფო ზარაფხანას უნდა დაემზადებინა:

- საქართველოს სახელმწიფო გერბის მოცულობითი ეტალონი ფერში
- საქართველოს მცირე სახელმწიფო გერბის მოცულობითი ეტალონი ფერში
- საქართველოს სახელმწიფო გერბის მოცულობითი ეტალონი ერთ ფერში
- საქართველოს მცირე სახელმწიფო გერბის მოცულობითი ეტალონი ერთ ფერში

საქართველოს სახელმწიფო გერბის ეტალონების დამზადების პროცესს საავტორო ზედამხედველობას უწევდნენ გერბის ავტორი მამუკა გონგაძე, საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ჰერალდიკური კომისიის წევრები.

სახელმწიფო გერბის ეტალონების დამზადების პროცესი ამსტერდამის სამეფო ზარაფხანაში დაიწყო 2006 წლის მარტში და დამთავრდა 2007 წლის თებერვალში.

გერბის ავტორის მამუკა გონგაძის, მოქანდაკე დიკ ჰეგმანისა და პროექტის მენეჯერის გერ ბერგმანის საკმაოდ ხანგრძლივი და რთული შემოქმედებითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ მიღებულ იქნა ბრინჯაოს მოდელი, რომელიც გახდა საფუძველი სახელმწიფო გერბის მოცულობითი ეტალონებისათვის.

2006 წლის სექტემბერში დამტკიცდა გერბის პლასტერული მოდელი.

სახელმწიფო გერბისა და მცირე გერბის მოცულობითი ეტალონების ფერითი ვერსიების პრეზენტაცია და ქართული მხარისათვის გადმოცემის ცერემონიალი ნიდერლანდების სამეფო ზარაფხანაში გაიმართა 2006 წლის 17 ნოემბერს.

საქართველოს სახელმწიფო გერბის მოცულობითი ეტალონი ფერში

საქართველოს მცირე სახელმწიფო გერბის მოცულობითი ეტალონი ფერში

ამრიგად, ნიდერლანდების სამეფო ზარაფხანაში დამზადდა სახელმწიფო გერბის მოცულობითი ეტალონების შემდეგი სახეობები:

სახელმწიფო გერბი, 90X80სმ, ბრინჯაო, მოოქრულ-მოვერცხლილი, ემალით.

მცირე სახელმწიფო გერბი, 45X50სმ, ბრინჯაოს ფარი გვირგვინით, მოოქრულ-მოვერცხლილი, ემალით.

სახელმწიფო გერბი 90X80სმ, ბრინჯაო, გაპრიალებული და დაფერილი.

მცირე სახელმწიფო გერბი, ბრინჯაოს ფარი გვირგვინით 45X50, გაპრიალებული და დაფერილი.

2014 წლის 30 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო გერბის ორიგინალის შე-

საქართველოს სახელმწიფო გერბის მოცულობითი ეტალონი ბრინჯაოში

საქართველოს სახელმწიფო გერბის მოცულობითი ეტალონი თაბაშირში

ნახვის ადგილის დადგენის შესახებ“, რომლის თანახმად საქართველოს გერბის ორიგინალი ინახება საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში.

2014 წლის 30 ნოემბრის საქართველოს პარლამენტის დადგენილებით (N2857-Iს) „საქართველოს სახელმწიფო გერბის ორიგინალის შენახვის ადგილის დადგენის შესახებ“, საქართველოს სახელმწიფო გერბის ორიგინალის შენახვის ადგილად განისაზღვრა საქართველოს პრეზიდენტის ქალაქ თბილისის რეზიდენცია. საქართველოს სახელმწიფო გერბის ორიგინალი ინახება მისთვის გამოყოფილ საგანგებო ადგილას, ისეთ პირობებში, რომლებიც გამორიცხავს მის რაიმე სახით დაზიანებას.

2018 წლის 14 ნოემბერს პარლამენტმა დაამტკიცა ორგანული კანონი „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ“. ეს კანონი ადგენს საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებს – საქართველოს სახელმწიფო დროშას, საქართველოს სახელმწიფო გერბსა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნს და მათ ცვლილებას საკონსტიტუციო ცვლილებას უთანაბრებს.

საქართველოს სახელმწიფო გერბის მოცულობითი ეტალონის დამაგრება საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციის შენობის ფასადზე

პროექტი

საქართველოს
მთავრობა

GOVERMENT
OF GEORGIA

საქართველოს
მთავრობა

GOVERMENT
OF GEORGIA

საქართველო
საქართველოს იუსტიციის
სამინისტრო

საქართველო
საქართველოს საგარეო საქმეთა
სამინისტრო

საქართველო
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო

საქართველო
საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტრო

GEORGIA
MINISTRY OF ADUCATION AND
SCIENCE OF GEORGIA

GEORGIA
MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE

GEORGIA
MINISTRY OF
FINANCE

GEORGIA
MINISTRY OF DEFENCE
OF GEORGIA

საქართველოს სახელმწიფო დროშა

2004 წლის 14 იანვარს ქვეყნის პარლამენტმა მიიღო საქართველოს პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ“.

საქართველოს სახელმწიფო დროშის ხუთჯვრიანი კომპოზიციის განსაზღვრას წინ უძღოდა ხანგრძლივი ისტორიული კვლევა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ისტორიკოსი დავით მუსხელიშვილი. დროშის გამოსახულების ჩამოყალიბებაზე მუშაობდნენ მხატვრები ვახტანგ რურუა და დიმიტრი (ჯუნა) მიქატაძე. დროშის პროექტი მოამზადა ასევე „ქართული ჰერალდიკის ასოციაციამ“. საქართველოს სახელმწიფო დროშის საბოლოო სახე, ე.წ. ბოლნურ-კაცხური მცირე ჯვრებით შემუშავდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ.



საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის დანართი 2004 წლის 14 იანვარი



„ქართული ჰერალდიკის ასოციაციის“ პროექტი



ვახტანგ რურუას პროექტი

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 25 იანვრის (№31) ბრძანებულებით „საქართველოს სახელმწიფო დროშის სტანდარტული ზომებისა და ზუსტი გამოსახულების დადგენის შესახებ“ განისაზღვრა დროშის სტანდარტი და ზომები და აიკრძალა დროშის ფერის ცვლილება.

სახელმწიფო დროშის სტანდარტი და ზომები მაინც არ აღმოჩნდა ზუსტი; ამიტომაც ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს ინიციატივითა და რეკომენდაციით 2014 წლის 30 ნოემბერს დამტკიცდა საქართველოს პარლამენტის დადგენილება „სახელმწიფო დროშის სტანდარტული ზომებისა და ზუსტი გამოსახულების განსაზღვრის შესახებ“, რომლითაც საბოლოოდ განისაზღვრა სახელმწიფო დროშის ზომები;

2014 წელს შეიქმნა სახელმწიფო დროშის ეტალონი; 2014 წლის 30 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო დროშის ორიგინალის შენახვის ადგილის დადგენის შესახებ“, რომლის თანახმად საქართველოს დროშის ორიგინალი ინახება საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს სახელმწიფო დროშის ორიგინალის შენახვის ადგილის დადგენის შესახებ (ქუთაისი, 30 ნოემბერი, 2014 წ. N2856-Iს).

2018 წლის 14 ნოემბერს პარლამენტმა დაამტკიცა ორგანული კანონი „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ“ – ეს კანონი ადგენს საქართველოს სასხელმწიფო სიმბოლოებს – საქართველოს სახელმწიფო დროშას, საქართველოს სახელმწიფო გერბსა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნს.



წინა პირი



უკანა პირი

ფერები:

წითელი: RGB: 255 0 0
CMYK: 0 100 100 0
HEX: #FF0000

თეთრი: RGB: 255 255 255
CMYK: 0 0 0 0
HEX: #FFFFFF

საქართველოს სახელმწიფო დროშა,
2014 წლის 30 ნოემბერი



საქართველოს სახელმწიფო დროშის ტექნიკური ნახაზი, 2004 წლის 25 იანვარი



საქართველოს სახელმწიფო დროშის ტექნიკური ნახაზი, 2014 წლის 30 ნოემბერი

საქართველოს სახელმწიფო დროშის ეტალონი,
2015 წლის 14 იანვარი

საქართველოს სახელმწიფო დროშის ისტორიული საფუძვლები

ხუთჯვრიანი დროშის გამოსახულება XIV-XV საუკუნეების ევროპულ საზღვაო რუკებზე (პორტოლანებზე) ქალაქების – თბილისისა და სოხუმის (სებასტოპოლისის) ადგილას არის დატანილი. რუკები ინახება უცხოეთის არქივებში, მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში; ჰერალდიკის საბჭოს ძალისხმევით მათი უმრავლესობის მაღალი რეზოლუციის ვექტორული ფაილები მოპოვებული და დაცულია საქართველოში.









უცხოეთის არქივებში, მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში დაცული რუკების ფრაგმენტები, რომლებზეც გამოსახულია ხუთჯვრიანი დროშა



საქართველოს სეფე დროშა

პროექტი



საქართველოს სახელმწიფო დროშა

საქართველოს ეროვნული დროშა

პროექტი



გონფალონი

პროექტი

გრძელი ალამი - პენანტი

პროექტი



საქართველოს სახელმწიფო დროშა
ვერტიკალური ბანერი

პროექტი

ეროვნული ფერები

პროექტი





ბუნიკი

საქართველოს სახელმწიფო დროშის ბუნიკი

პროექტი

საქართველოს სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო

მუნიციპალური სიმბოლოები (გერბი, დროშა)

მუნიციპალური სიმბოლოების დადგენისას ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო ხელმძღვანელობდა რამდენიმე მსაზღვრელით. კერძოდ, ისტორიული სამიწაწყლო აღმნიშვნელი, ვექსილოლოგიური მემკვიდრეობა, გეოგრაფიული, კულტურული, ეკონომიკური, ტოპონიმური და არსებული ლეგენდის კომპონენტი.

უწინარესად ხდებოდა გადამოწმება, კონკრეტულ ტერიტორიას ისტორიულად ჰქონდა თუ არა სამიწაწყლო მემკვიდრეობითი აღმნიშვნელები ან სიმბოლოები. თუ ასეთი მუნიციპალიტეტში შემავალ ისტორიულ მხარეს ჰქონდა, საბჭო ახლის დადგენისას უპირატესობას ანიჭებდა მემკვიდრეობითობას და ამასვე ითვალისწინებდა საკონკურსო პირობების შედგენისას.

ზემოთ აღნიშნული კომპონენტების (მსაზღვრელების) გათვალისწინებით წარმოგიდგენთ რამდენიმე მუნიციპალიტეტის სიმბოლოს:

მუნიციპალური სიმბოლოების დადგენის ერთ-ერთი საფუძველი შეიძლება იყოს მისი გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მუნიციპალიტეტს ქვეყნის საერთო სახელმწიფოებრივ მოწყობაში.

მაგალითად წარმოგიდგენთ ხაშურისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებს.

სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი ისტორიის და კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ხშირად მუნიციპალიტეტის ძირითადი მახასიათებელი არის კულტურული მემკვიდრეობა.

მაგალითად წარმოგიდგენთ ბოლნისისა და კასპის მუნიციპალიტეტებს: ერთ შემთხვევაში სიმბოლოები შედგენილია ქართული დამწერლობის ერთ-ერთი უძველესი ისტორიული ნიმუშის მიხედვით, მეორე შემთხვევაში, სიმბოლოებზე დატანილია ქართული ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი ძეგლის – სამთავისის ბარელიეფი.

მუნიციპალიტეტის მკვიდრ მოქალაქეებს ხშირად აერთიანებთ საერთო წარმოდგენები წარმომავლობის, განსაკუთრებულობის, განსხვავებულობის აღსანიშნავად. ასეთ მაკავშირებელს წარმოადგენს ლეგენდა.

მაგალითად წარმოგიდგენთ მარტვილისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებს. მარტვილი უკავშირდება დიდი ჭყონის (მუხის) შესახებ არსებულ ხალხურ გადმოცემას. ჭყონდიდი მნიშვნელოვანი ქრისტიანული ტაძარია, მაგრამ მისი საკრალური მნიშვნელობა ანტიკური დროიდან იღებს სათავეს.

სახელოვანი ქრისტიანი წმინდანისა და მოღვაწის მაქსიმე აღმსარებლის განსასვენებლად ადგილობრივები მიიჩნევენ ლენტეხს. ადგილს, სადაც ბიზანტიელმა წმინდანმა სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური, სამეწარმეო და რეკრეაციული დანიშნულება ასევე შეიძლება გახდეს სიმბოლოების მხატვრულ-შინაარსობრივი საფუძველი.

მაგალითად წარმოგიდგენთ ბორჯომისა და თელავის მუნიციპალიტეტებს: ბორჯომის მინერალური წყლისა და ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალის მნიშვნელობა საუკუნეებს მოითვლის. კიდევ უფრო ძირძველ დატვირთვას ატარებს თელავის მუნიციპალიტეტისთვის ქვევრში დაყენებული ღვინო, რომლის მსოფლიო მნიშვნელობის წარმოების კულტურა და 8000-წლიანი ტრადიცია განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის თვითგამოხატვას.

სიმბოლოების დადგენაში წვლილი შეაქვს ასევე ტოპონიმურ კომპონენტს. კერძოდ, მუნიციპალიტეტის დასახელებაში გამოხატულ სიმბოლურ მნიშვნელობას.

მაგალითად წარმოგიდგენთ ჩხოროწყუსა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებს: ჩხოროწყუს სახელწოდება მეგრული სიტყვაა, რაც ქართულად ცხრა წყაროს ნიშნავს. ამის გამოძახილია ცხრა ოქროს ზოლი ლაჟვარდის ველზე. ასევე ნინოწმინდა, რომელიც ქართველთა განმანათლებლის, აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობის მქადაგებლის წმინდა ნინოს სახელს ატარებს.

აქვე წარმოგიდგენთ მაგალითებს, როგორ სახეცვლილებას გადის მუნიციპალური სიმბოლო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ან სამართლებრივი ცვლილების შედეგად. მაგალითად წარმოდგიდგენთ ამბროლაურისა და გორის მუნიციპალიტეტების თვითმმართველ ქალაქად და თემად გაყოფის შემთხვევებს.



5-ქონგურიანი ოქროს გვირგვინი



4-ქონგურიანი ოქროს გვირგვინი



3-ქონგურიანი ვერცხლის გვირგვინი



ერთქონგურიანი ვერცხლის გვირგვინი



ევროპული ფარი



სადევიზე გაფთა (ლენტი)



დროშის ველი პროპორციით 2/3

შრიფტი (font):
Geo Kolkheti mtavr bold
Geo Grotesk

განსხვავებულად ხდება მუნიციპალური სიმბოლოების დადგენა ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში ყოფნის დროს. ასეთ შემთხვევაში სიმბოლოები იძლევა საშუალებას, მუნიციპალიტეტი მივაკუთვნოთ ავტონომიურ რესპუბლიკას. მაგალითად წარმოგიდგენთ ბათუმის, ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებს. სამივე მათგანი ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოებთან ავლენს მხატვრულ-შინაარსობრივ კავშირს.

ქუთაისის მუნიციპალიტეტი,
2009 წ.

ბათუმის მუნიციპალიტეტი,
2009 წ.



ოზურგეთის მუნიციპალიტეტი,
2021 წ.

ქურთას მუნიციპალიტეტი,
2010 წ.

ჰერალდიკური და ვექსილოლოგიური მემკვიდრეობა



ფოთის გერბი, XIX ს.



თვითმმართველი ქალაქი ფოთი, 2005 წ.



პიეტრო ვისკონტეს პორტოლანი, Pasio, 1325

ჰერალდიკური და ვექსილოლოგიური მემკვიდრეობა

დმანისის მუნიციპალიტეტი, 2007 წ.



ვახუშტი ბატონიშვილი,
სომხითის სიმბოლო, 1735 წ.

გეოგრაფიული შემადგენელი



ხაშურის ადგილმდებარეობა საქართველოს რუკაზე



ხაშურის მუნიციპალიტეტი, 2010 წ.

გეოგრაფიული შემადგენელი



დუშეთის მუნიციპალიტეტის რუკა

ხევსურეთი, მამაკაცის ტალავარი

დუშეთის მუნიციპალიტეტი, 2012 წ.

კულტურული შემადგენელი

ბოლნისის მუნიციპალიტეტი, 2009 წ.

ბოლნისის საკათედრო ტაძარი,
უძველესი ქართული დამწერლობა
საქართველოს ტერიტორიაზე, ა.წ. 494 წ.

კულტურული შემადგენელი

კასპის მუნიციპალიტეტი, 2009 წ.

სამთავისის ტაძრის ბარელიეფი, XI ს.

ლეგენდის შემადგენელი

ჭყონდიდის მონასტერი, X ს.

მარტვილის მუნიციპალიტეტი, 2009 წ.

ლეგენდის შემადგენელი

ვახუშტი ბატონიშვილი, სვანთა, 1735 წ.

მაქსიმე აღმსარებლის ფრესკა, სვანეთი

ლენტეხის მუნიციპალიტეტი, 2011 წ.

ეკონომიკური შემადგენელი



ბორჯომის მუნიციპალიტეტი, 2011 წ.

ბორჯომის მინერალური წყალი

ეკონომიკური შემადგენელი



თელავის მუნიციპალიტეტი, 2011 წ.

ქვევრი – ღვინის აკვანი –
ღვინის წარმოების 8000 წელი



მიხეილ
ვადბოლსკი,
თელავი

ტოპონიმიკური შემადგენელი

ტოპონიმი ჩხოროწყუ (მეგრ.) – „ცხრა ჭა“,
ეტიმოლოგიურად – „ცხრა წყარო“

გ. მაჭავარიანი,
საერთო ქართველური
კონსონანტური სისტემა,
თბილისი, 1965 წ.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, 2011 წ.

ტოპონიმიკური შემადგენელი

წმინდა ნინოს ჯვარი,
საქართველოს გაქრისტიანების
სიმბოლო

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, 2011 წ.

ავტონომიური რესპუბლიკა



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა
(პროექტები)

გილერმო სოლერსის
პორტოლანი, 1385 წ.



გაბრიელ ვალსეკა,
1439 წ.

ანჯელინო დულჩერი,
1329-1350 წწ.

ავტონომიის მუნიციპალიტეტები

ოკუპირებულია

ავტონომიური რესპუბლიკა



ბათუმის ოლქის გერბი, 1881

გონიოს ციხე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, 2005 წ.

ავტონომიის მუნიციპალიტეტები

ქობულეთის მუნიციპალიტეტი, 2013 წ.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, 2012 წ.

ბლაზონების მაგალითები

დუშეთის მუნიციპალიტეტის გერბი

გერბის ფარი გაკვეთილია და იყოფა ორ ნაწილად. I ნაწილი – მეწამულ ველზე ზედა ნაწილი გადაკვეთილია ტეხილი ვერცხლის სარტყელით, რომლის ზევით და ქვევით განთავსებულია ვერცხლის 5 ჰერალდიკური ჯვარი სამი-ორზე; II ნაწილი არის სევადის ველი. გერბის ცენტრში, ორივე ველზე მოთავსებულია მეომრის ოქროს აღჭურვილობა: ჯაჭვის პერანგი, აღმოსავლური ფარი და ხმალი; გერბის ფარს ზემოთ საქალაქო ვერცხლის გვირგვინია – სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხესიმაგრის ფორმის) ნახევრადღია კარიბჭით. ფარს ქვემოთ გერბის დევიზის ვერცხლ-მეწამული ბაფთაა, რომლის ვერცხლის ველზე შავით ჩაწერილია გერბის დევიზი – „დუშეთი“.

დუშეთის მუნიციპალიტეტის დროშა

დროშა წარმოადგენს მეწამული ფერის მართკუთხედის ფორმის ქსოვილს, რომლის ცენტრში მოთავსებულია ტეხილი ვერცხლის სარტყელი, რომელიც არ კვეთს დროშის კიდეებს და ხუთი ვერცხლის ჰერალდიკური ჯვარი სამი-ორზე; დროშის პროპორციაა – 2/3.

მესტიის მუნიციპალიტეტის გერბი

გერბის ფარი გაკვეთილია და გადაკვეთილია 4 ნაწილად (ველად). I – მეწამულ (წითელ) ველზე გამოსახულია ვერცხლის (თეთრი) შუბოსანი, ვერცხლის ფარიანი, ქვეითი წმინდა გიორგი ოქროს შარავანდედით. II – ლაჟვარდოვან ველს კვეთს სამი ვერცხლის სარტყელი, რომლის ზედა ნაწილში გამოსახულია ოქროს ვერძის ტყავი. III – გადაკვეთილია ვერცხლის ტეხილით, რომლის ზურმუხტის ველზე გამოსახულია ოქროს დათვი აღჭურვილი წითელი ენით, ხოლო ზედა ნაწილი ლაჟვარდისფერია. IV – მეწამულ ველზე, ცენტრში გამოსახულია ვერცხლის სახლი და კოშკი, რომლის მარჯვნივ ოქროს კვერთხია, ხოლო მარცხნივ – ზეაღმართული ოქროს ხმალი. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლლაჟვარდოვანი ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩაწერილია დევიზი – „მესტია“.

მესტიის მუნიციპალიტეტის დროშა

მესტიის დროშა მეწამულ-ოქროსფერია. მეწამულ ველზე გამოსახულია ვერცხლის (თეთრი) შუბოსანი, ვერცხლისვე ფარით, ქვეითი წმინდა გიორგი ოქროს შარავანდედით, რომელიც დროშის 7/9-ია. დროშა ბოლოვდება ორი ტოლფერდა ოქროს სამკუთხედით, რომელთა წვერები მიდის დროშის სიგრძის შუამდე. დროშის პროპორციაა – 2/3.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გერბი

გერბის ფარის მეწამულ ველს სამ ნაწილად ყოფს ვერცხლის ორკაპისებრი ჰერალდიკური ჯვარი. I ნაწილი – მეწამულ ველზე ვერცხლის ჰერალდიკური ჯვარი; II და III ნაწილები წარმოადგენს მეწამულ ველს. გერბის ფარის ცენტრში მოთავსებულია მცირე ფარი, რომელიც გადაკვეთილია ქონგურისებურად და იყოფა ლაჟვარდის და ოქროს ველებად. ოქროს ველი ნახევრად ჩაჭრილი და ქონგურების გარეშეა. ლაჟვარდის ველზე მოთავსებულია ოქროს მკლავგაშლილი აბჯარი. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი – სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხესიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია ჭიშკრით. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-მეწამული ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩაწერილია დევიზი – „ხაშური“.

ხაშურის მუნიციპალიტეტის დროშა



მეწამულ ველზე გამოსახულია ვერცხლის მარჯვნივ გადაბრუნებული ორკაპისებრი ჰერალდიკური ჯვარი, რომელიც დროშას ყოფს სამ ნაწილად. დროშის მარჯვენა ნაწილში, ჯვრის მკლავებს შორის გამოსახულია ვერცხლის ჰერალდიკური ჯვარი. დროშის პროპორციაა – 2/3

ხობის მუნიციპალიტეტის გერბი

ხობის მუნიციპალიტეტის გერბი წარმოადგენს ჰერალდიკურ ფარს, რომელიც გაკვეთილია და იყოფა ორ ნაწილად. პირველ ნაწილს უჭირავს ფარის 2/3, ხოლო მეორე ნაწილს – 1/3. გერბის ფარის პირველი ნაწილი წარმოადგენს ვერცხლის ველს, რომლის ცენტრში მოთავსებულია ლურჯი მცირე ფარი. მცირე ფარის ლურჯ ველზე გამოსახულია წმინდა მარიამ ღვთისმშობლის ვერცხლის კვართი. გერბის ფარის მეორე ნაწილი წარმოადგენს ლურჯ ტალღოვან ველს, რომლის ზედა ნაწილი გადაკვეთილია ვერცხლის ორი ტალღოვანი სარტყელით. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი – სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხესიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია ჭიშკრით. ფარს ქვემოთ მოთავსებულია დევიზის ვერცხლ-ლურჯი ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავით ჩაწერილია დევიზი – „ხობი“.

ხობის მუნიციპალიტეტის დროშა

ხობის მუნიციპალიტეტის დროშა წარმოადგენს მართკუთხედის ფორმის ქსოვილს, რომელიც ჰორიზონტალურად არის გაყოფილი ორ ნაწილად – თეთრ და ლურჯ ველებად. I ნაწილს უჭირავს დროშის 2/3, II ნაწილს – დროშის 1/3. დროშის პირველ ნაწილში თეთრ ველზე, ცენტრში, მოთავსებულია ლურჯი მცირე ფარი. მცირე ფარის ლურჯ ველზე გამოსახულია წმინდა მარიამ ღვთისმშობლის თეთრი კვართი. დროშის მეორე ნაწილი წარმოადგენს ლურჯ ველს. დროშის პროპორციაა – 2/3.

მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (გერბი, დროშა) დადგენა ხაშურის მაგალითზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ყველა მუნიციპალიტეტს აქვს სიმბოლოები (გერბი, დროშა).

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის სიმბოლოები:

1. მუნიციპალიტეტს აქვს გერბი და დროშა. მას შეიძლება ჰქონდეს სხვა სიმბოლოებიც.
2. მუნიციპალიტეტის გერბს, დროშასა და სხვა სიმბოლოებს, მათი გამოსახვის ფორმებსა და აღწერილობებს საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან წინასწარი კონსულტაციების საფუძველზე და მისი თანხმობით ადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულო. სავალდებულოა მუნიციპალიტეტის სიმბოლოების სახელმწიფო რეგისტრაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. მუნიციპალიტეტის სიმბოლოთა გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.

მუნიციპალიტეტების სიმბოლოების შექმნის პროცესი იყო ხანგრძლივი, რთული, მაგრამ საინტერესო; შედგა ორმხრივი თანამშრომლობა ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებს შორის. მუნიციპალიტეტის სიმბოლოების შექმნის საკითხებში ჩართული იყო ადგილობრივი საგანმანათლებლო ორგანიზაციები: ბიბლიოთეკები, მუზეუმები, საჯარო სკოლები. კონკურსებში მონაწილეობდნენ სკოლის მასწავლებლები, მუზეუმების თანამშრომლები, რიგითი მოქალაქეები. კონკურსის ორგანიზებასა და კონკურსის პირობების შემუშავებაში ადგილობრივ ხელისუფლებას დახმარებას უწევდნენ ჰერალდიკის საბჭოს სპეციალისტები. ხშირად კონკურსი რამდენჯერმე ტარდებოდა.

წარმოგიდგენთ სიმბოლოების (გერბი, დროშა) დადგენის პროცესს ხაშურის მუნიციპალიტეტის მაგალითზე.

ხაშურის მუნიციპალიტეტში სიმბოლოების შექმნაზე მუშაობა 2009 წლიდან დაიწყეს; შექმნეს სამუშაო ჯგუფები; აგროვებდნენ ეთნოგრაფიულ მასალას; გამოაცხადეს კონკურსი; გამოავლინეს სამი გამარჯვებული; გვთხოვეს, დავხმარებოდით აღნიშნული პროექტებიდან საუკეთესოს გამოვლენასა და ჰერალდიკურად გამართვაში; ერთ-ერთი პროექტის ავტორი აღმოჩნდა ხაშურის საჯარო სკოლის მოსწავლე. ამ პროექტის კონცეფცია მოეწონა ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს, სახელმწიფო გერბის ავტორს მამუკა გონგაძეს. ნამუშევარი კუსტარულად იყო შესრულებული, მაგრამ ავტორი აქცენტს მიმართავდა ხაშურის გეოგრაფიულ მდებარეობაზე, როგორც გზაჯვარედინზე განლაგებულ საკვანძო ქალაქზე. ჰერალდიკის საბჭო დაეხმარა სკოლის მოსწავლეს პროექტის ჰერალდიკური სტანდარტებით შესრულებაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

KHASHURI MUNICIPALITY COUNSIL

საქართველო, ქალაქი ხაშური, 5700, ტაბიძის 2
TABIDZE ST. 2, KHASHURI city, GEORGIA, 5700

№ 04/58
25. 02. 2010

საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის
სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ ელდარ შენგელაიას

ბატონო ელდარ,

მოგეხსენებათ, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესრულების მიზნით, ხაშურის მუნიციპალიტეტს საკრებულო ვალდებულია უზრუნველყოს სიმბოლიკის (გერბის და დროშის) შექმნა და დამტკიცება.
მოგმართავთ თხოვნით გაგვიწიოთ დახმარება, რათა ჩვენს მიერ შერჩეული ხაშურის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების ესკიზები შეიქმნას ჰერალდიკური მოთხოვნების შესაბამისად.

პატივისცემით,
საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლომიძე

14
25. 02. 2010.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2010 წლის 27 აპრილის №6 დადგენილებით დაამტკიცა სიმბოლოები (გერბი, დროშა). ამრიგად, ადგილობრივი მოქალაქეებისა და



ჰერალდიკის საბჭოს თანამშრომლობით ხაშურს აქვს ძალიან ლამაზი, ჰერალდიკურად გამართული გერბი და დროშა, რომელთა ავტორი არის იმ დროს ხაშურის სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლე ლანა სადაღაშვილი.











მუნიციპალიტეტის სამართლებრივი სტატუსის ცვლილებით განპირობებული სიმბოლოების (გერბი, დროშა) დადგენა ამბროლაურის მაგალითზე



ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, 2008 წ.





ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, 2015 წ.

ქალაქი ამბროლაური, 2015 წ.



ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, 2018 წ.

საქართველოში (ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის სრულ აღდგენამდე) არის 5 თვითმმართველი ქალაქი (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი, ბათუმი) და 64 თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალიტეტი (2014 წლის 5 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებებამდე).

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილების შედეგად 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით თვითმმართველი ერთეულის სტატუსი მიენიჭა საქართველოს რაიონებს: აჭარა, ერედვი, ქურთა და თიღვი.

2014 წლის მდგომარეობით სიმბოლოები (გერბი, დროშა) დამტკიცებული იყო და ფუნქციონირებდა 4 თვითმმართველ ქალაქში და 61 თვითმმართველ მუნიციპალიტეტში. სიმბოლიკის გარეშე დარჩენილი იყო 1 თვითმმართველი ქალაქი (თბილისი) და 3 მუნიციპალიტეტი: ვანი, თერჯოლა და ჭიათურა.

2014 წლის 5 თებერვალს მიღებული საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, თვითმმართველი ქალაქის სტატუსი მიენიჭა ქალაქებს: თელავი, ოზურგეთი, ზუგდიდი, გორი, ამბროლაური, მცხეთა და ახალციხე. შედეგად, ზემოთ აღნიშნული დასახლებების ტერიტორიებზე შეიქმნა თვითმმართველი ქალაქის მუნიციპალიტეტები და თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტები. მაგალითად: ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტი და ამბროლაურის მუნიციპალიტეტი (თემი).

ახალი მუნიციპალიტეტების შექმნამ გამოიწვია ამ მუნიციპალიტეტების სიმბოლოების (გერბი, დროშა) გაუქმება და ახალ სიმბოლოებზე მუშაობის დაწყება. 2015 წლის დასაწყისიდან ახალშექმნილ მუნიციპალიტეტებთან ერთად დავიწყეთ ამ პროექტის განხორციელება. მანამდე, 2014 წლის ბოლოს, ყვარელში ჩატარდა ჰერალდიკის საბჭოსა და ჰერალდიკის საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის სემინარი-სწავლება ახალშექმნილი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეებისთვის, სადაც თითოეული ახალშექმნილი მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის საკითხი ინდივიდუალურად განიხილეს. ისევ ამბროლაურის მაგალითი: ამბროლაურის მუნიციპალიტეტს სიმბოლოები (გერბი, დროშა) აქვს 2008 წლიდან.

2014 წლის 5 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად გაუქმდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 29 დეკემბრის №54 დადგენილება სიმბოლოების (გერბი, დროშა) დამტკიცების შესახებ. შედეგად, თვითმმართველმა ქალაქმა და თვითმმართველმა თემმა დაიწყეს მუშაობა ახალი სიმბოლოების შექმნისთვის. ამბროლაურის მუნიციპალიტეტმა (თემი) სიმბოლოები (გერბი, დროშა) დაამტკიცა 2015 წლის 6 იანვარს (დადგენილება №1); ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტმა კი 2015 წლის 25 სექტემბერს (დადგენილება №38). ზემოთ აღნიშნულ სემინარზე გადაწყდა, რომ ყველა თვითმმართველი ქალაქის გერბს ექნება შესამკობელი.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ გაუქმდა და თვითმმართველი ქალაქის სტატუსი მოეხსნა ქალაქებს, რომლებსაც ეს სტატუსი მიენიჭა 2014 წლის 5 თებერვალს მიღებული საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად. ეს ქალაქებია: თელავი, ოზურგეთი, ზუგდიდი, გორი, ამბროლაური, მცხეთა და ახალციხე.

ისევ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მაგალითზე: ვინაიდან გაუქმდა თვითმმართველი ქალაქი, საჭირო გახდა მუნიციპალიტეტის ახალი სიმბოლოების (გერბი, დროშა) შემუშავება. 2018 წლის 28 თებერვლის №26 დადგენილებით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა სიმბოლოები (გერბი, დროშა).

მუნიციპალიტეტის სამართლებრივი სტატუსის ცვლილებით განპირობებული სიმბოლოების (გერბი, დროშა) დადგენა თელავის მაგალითზე

თელავის მუნიციპალიტეტი, 2011 წ.



თელავის მუნიციპალიტეტი, 2016 წ.

ქალაქი თელავი, 2015 წ.



თელავის მუნიციპალიტეტი, 2020 წ.

თელავის მუნიციპალიტეტმა სიმბოლოებზე მუშაობა დაიწყო 2010 წლიდან. უნდა აღინიშნოს, რომ თელავის მუნიციპალიტეტის სტატუსის ცვლილებიდან გამომდინარე, 2011-2020 წლებში სიმბოლოები 4-ჯერ დამტკიცდა. ისტორიული წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალების შეჯერების შედეგად მუნიციპალიტეტმა ოთხი სხვადასხვაფიგურიანი გერბი და დროშა შექმნა და დაამტკიცა. რა თქმა უნდა, ჰერალდიკის საბჭოსთან თანამშრომლობის შედეგად.

მივყვეთ თანამიმდევრულად:

1. 2011 წლის 26 ივლისი. თელავის საკრებულომ მიიღო დადგენილება (№19) –„თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (გერბი, დროშა) დამტკიცების შესახებ“.

2014 წლის 5 თებერვალს მიღებული საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, თვითმმართველი ქალაქის სტატუსი სხვა 6 ქალაქთან ერთად მიენიჭა თელავსაც; შედეგად, მივიღეთ ორი მუნიციპალიტეტი: ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი; ორივე მუნიციპალიტეტმა დაიწყო სიმბოლოების (გერბი, დროშა) ახალ პროექტებზე მუშაობა.

2. 2015 წლის 5 ოქტომბერს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა დადგენილება (№45) – „ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (გერბი და დროშა) დამტკიცების შესახებ“.

3. 2016 წლის 20 აპრილს თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება (№11): „თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის (გერბი და დროშა) დამტკიცების შესახებ“.

2017 წელს გაუქმდა და თვითმმართველი ქალაქის სტატუსი მოეხსნა ქალაქებს, რომლებსაც ეს სტატუსი მიენიჭა 2014 წლის 5 თებერვალს მიღებული საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად; მათ შორის იყო თელავიც.

ვინაიდან გაუქმდა თვითმმართველი ქალაქი და ორი მუნიციპალიტეტი ისევ გაერთიანდა, საჭირო გახდა მუნიციპალიტეტის ახალი სიმბოლოების (გერბი, დროშა) შემუშავება.

2020 წლის 26 ივლისს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა დადგენილება (№19) – „თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (გერბი და დროშა) დამტკიცების შესახებ“.

აბაშა
Abasha
ადიგენი
Adigeni
ამბროლაური
Ambrolauri
ასპინძა
Aspindza
ახალგორი
Akhalgori
ახალქალაქი
Akhalkalaki
ბათუმი
Batumi
ბაღდათი
Bagdati
ბოლნისი
Bolnisi
ბორჯომი
Borjomi
ჭიათურა
Chiatura
ჩოხატაური
Chokhatauri
დმანისი
Dmanisi
დუშეთი
Dusheti
გარდაბანი
Gardabani
გურჯაანი
Gurjaani
გორი
Gori
ქარელი
Kareli
კასპი
Kaspi
ყაზბეგი
Kazbegi
ქედა
Keda
ხარაგაული
Kharagauli
ხაშური
Khashuri
ხონი
Khoni
ქუთაისი
Kutaisi
ხობი
Khobi
ლანჩხუთი
Lanchkhuti
ლაგოდეხი
Lagodekhi
ოზურგეთი
Ozurgeti
ონი
Oni
საჩხერე
Sachkhere
სენაკი
Senaki
სიღნაღი
Sighnaghi
შუახევი
Shuakhevi
თელავი
Telavi
თეთრწყარო
Tetritskaro
ლენტეხი
Lentekhi
მარნეული
Marneuli
მარტვილი
Martvili
მესტია
Mestia
მცხეთა
Mtskheta
ნინოწმინდა
Ninotsminda
წალკა
Tsalka
წალენჯიხა
Tsalenjikha
წყალტუბო
Tskaltubo
ვანი
Vani
ზუგდიდი
Zugdidi
ცაგერი
Tsageri
ახალციხე
Akhaltsikhe
ახმეტა
Akhmeta
ყვარელი
Kvareli
ქობულეთი
Kobuleti
საგარეჯო
Sagarejo
სამტრედია
Samtredia
ჩხოროწყუ
Chkhorotsku
დედოფლისწყარო
Dedoplistskaro
ხულო
Khulo
ხელვაჩაური
Khelvachauri
თიანეთი
Tianeti
ტყიბული
Tkibuli
ფოთი
Foti
რუსთავი
Rustavi
ზესტაფონი
Zestaponi
თერჯოლა
Terjola
ერედვი
Eredvi
თიღვა
Tigva
ქურთა
Kurta
აჭარა
Azhara

საჯარო დაწესებულების ემბლემა

საჯარო დაწესებულების, საჯარო დაწესებულების სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ან საჯარო დაწესებულების სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის / საჯარო დაწესებულების მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობისა და უფლებამოსილებების პირობითი, სიმბოლური გამოსახულება, რომელიც შექმნილია საერთაშორისო ჰერალდიკური ნორმების დაცვით.

ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, 2019 წ.

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ემბლემა, 2019 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ემბლემა და დროშა, 2013 წ.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ემბლემა და დროშა, 2019 წ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემბლემა და დროშა, 2015 წ.

საჯარო დაწესებულების დროშებისა და სიმბოლოების ერთობლიობა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ემბლემა



საქართველოს თავდაცვის ძალების დროშა და ემბლემა



საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის დროშა და ემბლემა



საქართველოს თავდაცვის ძალების აღმოსავლეთ სარდლობის დროშა და ემბლემა



საქართველოს თავდაცვის ძალების დასავლეთ სარდლობის დროშა და ემბლემა





100მმX150მმ

საქართველოს თავდაცვის ძალების წრთვნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის დროშა და ემბლემა





100მმX150მმ

საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის დროშა და ემბლემა





100მმX150მმ

საქართველოს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის დროშა და ემბლემა





საქართველოს თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების ძალების დროშა და ემბლემა





საქართველოს თავდაცვის ძალების ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის დროშა და ემბლემა



სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემიის დროშა და ემბლემა



სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დროშა და ემბლემა



სსიპ – გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტლის დროშა და ემბლემა

საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის დროშა და ემბლემა

სსიპ – კიბერუსაფრთხოების ბიუროს დროშა და ემბლემა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ემბლემა

საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის ემბლემა

სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის „დელტას“ ემბლემა

სსიპ – თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის ემბლემა

ავიაცია



A	300	600	800	1000
B	9	18	24	30

ინსიგნია

საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს თავდაცვის მინისტრის, საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობისა და უფლებამოსილებების პირობითი, სიმბოლური გამოსახულება: დროშა, სამკერდე მედალიონი, კვერთხი.

საქართველოს პრეზიდენტის დროშა, 2020 წ.

დიდი სახელმწიფო ბეჭედი (პროექტი)

თავდაცვის მინისტრის დროშა, 2017 წ.

გენერალური შტაბის უფროსის დროშა, 2017 წ.

საპრეზიდენტო გულსაკიდი (პროექტი)

საქართველოს სახელმწიფო ჯილდო, უწყებრივი ჯილდო

ეროვნული გმირის ორდენი, 2004 წ.

წმინდა გიორგის გამარჯვების ორდენი, 2004 წ.

ოქროს საწმისის ორდენი, 2004 წ.

თავდაცვის სამინისტროს მედალი „გიორგი ანწუხელიძე“, 2016 წ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მედალი „მამაცობისათვის“, 2008 წ.

საგარეო საქმეთა სამინისტროს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის მედალი, 2020 წ.

განმასხვავებელი ნიშანი

საქართველოს სახელმწიფო სამხედრო წოდების, სახელმწიფო სპეციალური წოდების განმასხვავებელი ნიშანი; სამხედრო ძალების სახეობის, სამხედრო დანაყოფის, სამხედრო ქვედანაყოფის განმასხვავებელი ნიშანი:

პოლიციის:

გენერალ -ლეიტენანტი | გენერალ-მაიორი | გენერალ-პოლკოვნიკი

მაიორი | ვიცე-პოლკოვნიკი | პოლკოვნიკი

უმცროსი ლეიტენანტი | ლეიტენანტი | უფროსი ლეიტენანტი | კაპიტანი



რიგითი | უმცროსი სერჟანტი | სერჟანტი | უფროსი სერჟანტი | ზემდეგი

კოკარდა

სამკერდე

სამკლავური



საზაფხულო უნიფორმა

ზამთრის უნიფორმა

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო



საპარადო ფორმა



სამხრე

უმაღლესი ოფიცრები

საპარადო ფორმა (ქალთათვის)

სამხრე

უმაღლესი ოფიცრები

საქართველოს სახელმწიფო ფულის ნიშანი

საიუბილეო მონეტა, განკნოტი, 2016 წ.



ლარის სიმბოლო, 2006 წ.

საქართველოს სახელმწიფო დოკუმენტი

საქართველოს მოქალაქის პასპორტი, პირადობის (ბინადრობის) მოწმობა; საჯარო დაწესებულების ბლანკის ნიმუში, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო სიმბოლო და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო; სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი ან სხვა ოფიციალური დოკუმენტი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო სიმბოლო და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო:

საქართველოს მოქალაქის პასპორტი

მართვის მოწმობა



ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა



საქართველო

ბორჯომის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

ბორჯომი 0113
ჭავჭავაძის 37

№_____
_____ _____2010წ.

ნიმუში

უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობა



სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის დოკუმენტი

ქორწინების მოწმობა

დაბადების მოწმობა

სახელმწიფო მნიშვნელობის ღონისძიება

სამხედრო აღლუმი; საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადება; საქართველოს ტერიტორიაზე გამართული სარიტუალო, საერთაშორისო, სადღესასწაულო ღონისძიება, რომელსაც საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 ივნისის დადგენილება №282. საქართველოს სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის წესი. მაგალითად:

სახელმწიფო დროშის აღმართვა აღლუმისას



სახელმწიფო დროშის დაშვება გლოვისას



კონფერენციები, კონგრესები და სემინარები საგზვარგარეთ

ვექსილოლოგიის 24-ე საერთაშორისო კონგრესი, აშშ, 2011 წ.

2011 წლის 3 აგვისტოს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ვაშინგტონში ვექსილოლოგთა (დროშათმცოდნეობის) საერთაშორისო ასოციაციების ფედერაციათა 24-ე საერთაშორისო კონგრესის გენერალური ასამბლეის 22-ე სესიაზე საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო ვექსილოლოგთა (დროშათმცოდნეობის) საერთაშორისო ასოციაციების ფედერაციის (FIAV) წევრი გახდა. სესიამ ერთხმად დაუჭირა მხარი ქართული ჰერალდიკური ორგანიზაციის FIAV-ში (ვექსილოლოგთა საერთაშორისო ორგანიზაციაში) გაწევრიანებას.

ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს წარმომადგენელმა, საბჭოს თავმჯდომარის მიერ დელეგირებულმა პირმა, ისტორიისა და ანალიტიკის სამსახურის წამყვანმა სპეციალისტმა თამთა მელელაშვილმა FIAV 24-ე საერთაშორისო კონგრესის გენერალური ასამბლეის 22-ე სესიის მონაწილეებს გააცნო ჰერალდიკის საბჭოს საქმიანობა და ოფიციალურად გააფორმა საბჭოს გაწევრიანება ზემოთ აღნიშნულ ორგა-



FÉDÉRATION INTERNATIONALE DES ASSOCIATIONS VEXILLOLOGIQUES

RECOGNIZES THE ADMISSION OF

ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო საქართველოს პარლამენტთან არსებული
STATE COUNCIL OF HERALDRY AT THE PARLIAMENT OF GEORGIA

AS THE SIXTY-FIFTH MEMBER OF THE FEDERATION

TWENTY-FOURTH INTERNATIONAL CONGRESS OF VEXILLOLOGY–WASHINGTON D.C.

AUGUST 2, 2011

PRESIDENT SECRETARY-GENERAL SECRETARY-GENERAL FOR CONGRESSES

ნიზაციაში; ვექსილოლოგთა (FIAV) საერთაშორისო ასოციაციების ფედერაციაში გაწევრიანების საკითხის განხილვისას ოფიციალურად წარმოადგინა ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო და ხელი მოაწერა სათანადო დოკუმენტაციას; სრულუფლებიანი წევრის სტატუსით მონაწილეობა მიიღო აღნიშნული ორგანიზაციის 24-ე საერთაშორისო კონგრესის გენერალური ასამბლეის 22-ე სესიაზე გაწევრიანების შემდგომ გამართულ ოფიციალურ შეხვედრებში.

ვექსილოლოგიის 25-ე საერთაშორისო კონგრესი, ნიდერლანდების სამეფო, 2013 წ.

ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ელდარ შენგელაიამ და თავმჯდომარის მოადგილემ მამუკა გონგაძემ მონაწილეობა მიიღეს ნიდერლანდების სამეფოს ქალაქ როტერდამში გამართულ ვექსილოლოგთა საერთაშორისო ასოციაციების ფედერაციათა 25-ე საერთაშორისო კონგრესის გენერალური ასამბლეის 25-ე სესიის მუშაობაში, რომელსაც საქართველოს ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს წარმომადგენლები უკვე წევრი ქვეყნის სტატუსით ესწრებოდნენ. სესიაზე განიხილეს: დროშათა სისტემა, უწყებრივი დროშები, ევროპისა და აზიის ისტორიული დროშები (მათ შორის საქართველოს სახელმწიფო დროშა), დროშების კლასიფიკაცია, დროშის დიზაინი, ფერები.



ევროპული ჰერალდიკისა და ვექსილოლოგიის II კონფერენცია, პოლონეთი, 2014 წ.

2014 წლის სექტემბერში პოლონეთის ჰერალდიკისა და ვექსილოლოგიის ინსტიტუტის მიწვევით, ქალაქ ცეშინში საქართველოს ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მამუკა გონგაძემ და დიზაინისა და ანალიტიკის სამსახურის წამყვანმა სპეციალისტმა სოფიო გოგოლაძემ მონაწილეობა მიიღეს ევროპული ჰერალდიკისა და ვექსილოლოგიის II კონფერენციაში და წაიკითხეს მოხსენება



„სამოქალაქო და ტერიტორიული ჰერალდიკა საქართველოში“. შეხვედრები გაიმართა ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ჰერალდიკოსებთან გამოცდილების გაზიარებისა და სამომავლო თანამშრომლობის მიზნით.

მე-6 ეროვნული ვექსილოლოგიური კონგრესი, ჩეხეთის რესპუბლიკა, 2016 წ.

2016 წლის ივნისში, ჩეხეთის რესპუბლიკის ვექსილოლოგიური საზოგადოების მიწვევით, ჰერალდიკის საბჭოს დელეგაცია მონაწილეობდა მე-6 ეროვნული ვექსილოლოგიური კონგრესის მუშაობაში. მათ წარადგინეს პრეზენტაცია თემაზე: „სამოქალაქო და ტერიტორიული ჰერალდიკა საქართველოში“. შედგა შეხვედრები ჩეხეთის ვექსილოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტთან იაროსლავ მარტიკანთან და ჩეხეთის ჰერალდიკური კომისიის წევრთან და ვექსილოლოგიური საზოგადოების აღმასრულებელ მდივანთან პეტერ ექსენერთან.

ევროპული ჰერალდიკისა და ვექსილოლოგიის III კონფერენცია, პოლონეთი, 2016 წ.

2016 წლის სექტემბერში პოლონეთის ჰერალდიკისა და ვექსილოლოგიის ინსტიტუტის მიწვევით, ევროპული ჰერალდიკისა და ვექსილოლოგიის III კონფერენციაზე („სამოქალაქო და ტერიტორიული ჰერალდიკა და ვექსილოლოგია ევროპაში“) ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მამუკა გონგაძემ კონფერენციის მონაწილეებს წარუდგინა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ ჰერალდიკის საბჭოს მიერ გამოცემული წიგნი.

ვექსილოლოგიის 27-ე საერთაშორისო კონგრესი, დიდი ბრიტანეთი, 2017



2017 წლის აგვისტოში საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ვექსილოლოგიის 27-ე საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში, რომელიც დიდი ბრიტანეთის დროშათა ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართა ქალაქ ლონდონში. წარმოადგინეს მოხსენება: „საქართველოს თანამედროვე მუნიციპალური დროშები“.

ჰერალდიკის საერთაშორისო ფორუმი, ლიეტუვა, 2018 წ.

2018 წლის ივნისში, ქალაქ ვილნიუსში, ლიეტუვას ჰერალდიკის კომისიის ორგანიზებით ჩატარდა ჰერალდიკის საერთაშორისო ფორუმი, რომელიც მიეძღვნა სამოქალაქო (მუნიციპალურ) ჰერალდიკას.

ლიეტუვას პრეზიდენტის სასახლეში დაგეგმილ ჰერალდიკის საერთაშორისო ფორუმზე ჰერალდიკის საბჭოს დიზაინისა და ანალიტიკის სამსახურის უფროსმა დავით ჩხეიძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „საქართველოს თანამედროვე მუნიციპალური სიმბოლიკა“.

ჰერალდიკის საერთაშორისო ფორუმი, საფრანგეთი, 2018 წ.

2018 წლის ოქტომბერში საფრანგეთში, ქალაქ არასში ჰერალდიკის საერთაშორისო აკადემიის ორგანიზებით გაიმართა ჰერალდიკის საერთაშორისო კონგრესი, რომლის მთავარი თემაც იყო – „ჰერალდიკა ომისა და მშვიდობის დროს“. საქართველოს პარლამენტთან არსებულმა ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავთან დაკავშირებით დარგის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული საზოგადოების წინაშე წარადგინა მოხსენება, თუ როგორ შეიცვალა საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები. კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო გერბი რესპუბლიკის არსებობის 100 წლის განმავლობაში. ჰერალდიკის საერთაშორისო აკადემიის ასოცირებულმა წევრმა, ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს სახელმწიფო გერბის ავტორმა მამუკა გონგაძემ ჰერალდიკის სპეციალისტებს გააცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შექმნის ისტორია. თუ როგორ მომზადდა დემოკრატიული რესპუბლიკის გერბი და შეირჩა მისი მთავარი იდეა; როგორ მოხდა მისი ავტორის, იოსებ შარლემანის მიერ გერბის შეცვლა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დავალებით, ქვეყნის იძულებითი გასაბჭოების პირველივე დღეებში; რა პირობებში და რა მონაცემების საფუძველზე აღდგა სახელმწიფო სიმბოლოები ჯერ დამოუკიდებლობის გამოცხადებისას 1990 წელს და მოგვიანებით 2004 წელს. საერთაშორისო კონგრესის თემატიკამ შესაძლებელი გახადა, დამსწრე საზოგადოებას გაცნობოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის მთავარი იდეის – სიკეთის ბოროტებაზე მარადიული გამარჯვების – მნიშვნელობა, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის ჭრილში. როგორ მოხდა საბოლოოდ სახელმწიფო გერბის იდეური დასრულება და მასზე სუვერენიტეტის სიმბოლოს – ივერიული გვირგვინის გამოსახვა.

კონფერენციები, კონგრესები და სემინარები საქართველოში

საქართველოს ტერიტორიული სიმბოლიკა, ბაზალეთი – 2009 წ., ქობულეთი – 2010 წ.

2009 წლის დეკემბერში ბაზალეთში და 2010 წლის აპრილში ქობულეთში ჩატარდა საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის ერთობლივი კონფერენცია-სემინარები, რომელთა მიზანი გახლდათ საქართველოს ტერიტორიული ჰერალდიკის სისტემური განვითარების უზრუნველყოფა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა. კონფერენციას ესწრებოდნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტების საკრებულოთა თავმჯდომარეები.

ჰერალდიკური ტერმინოლოგიის განსაზღვრისა და დადგენის შესახებ, სიღნაღი, 2011 წ.

2011 წელს სიღნაღში გაიმართა სემინარი ჰერალდიკური ტერმინოლოგიის განსაზღვრისა და დადგენის შესახებ. სემინარს ესწრებოდა საერთაშორისო ვექსილოლოგიური ასოციაციების ფედერაციის პრეზიდენტი, ევროპულ-ბელგიური დროშების კვლევითი ცენტრის დამაარსებელი, ბატონი მიშელ ლუპანი.

საქართველოს თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების სიმბოლიკა (დროშა და გერბი), ქუთაისი, 2012 წ.

2012 წლის მარტში ქუთაისში ჩატარდა სემინარი თემაზე „საქართველოს თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების სიმბოლიკა“ (დროშა და გერბი).

სემინარში მონაწილეობდნენ დასავლეთ საქართველოს იმ მუნიციპალიტეტების საკრებულოთა თავმჯდომარეები და სიმბოლიკის შემმუშავებელი კომისიების ხელმძღვანელები, რომელთაც აღნიშნული პერიოდისთვის არ ჰქონდათ შემუშავებული მუნიციპალიტეტების სიმბოლოები (ქობულეთი, შუახევი, ხელვაჩაური, მესტია, ცაგერი, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ვანი, ბაღდათი, ტყიბული, თერჯოლა, საჩხერე, ჭიათურა).

კონფერენცია სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესების შესახებ, თბილისი, 2013 წ.

2013 წლის 10 დეკემბერს თბილისში, სასტუმრო „Holiday Inn“-ში გაიმართა კონფერენცია თემაზე: „სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესები“.

კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყვნენ საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, პრემიერ-მინისტრის, ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებისა და უმაღლესი საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების პროტოკოლის სამსახურებისა და ფუნქციურად შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლები.

მონაწილეებმა ისაუბრეს პროტოკოლური ღონისძიებების დროს გამოვლენილი პრობლემების შესახებ. მიიღეს შესაბამისი განმარტებები.

პროექტზე მუშაობა გრძელდება, შევსებული ვარიანტი დასამტკიცებლად წარედგინება მთავრობას ან პარლამენტს.

საქართველოს თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების სიმბოლიკა (გერბი დროშა), ყვარელი, 2014 წ.

2014 წლის 4-6 დეკემბერს ყვარელში ჩატარდა სემინარი, თემაზე: „საქართველოს თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების სიმბოლიკა (გერბი დროშა)“.

სემინარში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იყვნენ ახალშექმნილი მუნიციპალიტეტების: თელავის, ოზურგეთის, ზუგდიდის, გორის, ამბროლაურის, მცხეთისა და ახალციხის, ასევე, თვითმმართველი ქალაქების: თელავის, ოზურგეთის, ზუგდიდის, გორის, ამბროლაურის, მცხეთისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების საკრებულოს თავმჯდომარეები, რომელთაც ადგილობრივი თვითმმართველობის ახალი კოდექსის (2014 წლის 5 თებერვალი, №1958-II) თანახმად უნდა შეექმნათ თვითმმართველი ერთეულის ახალი სიმბოლიკა (გერბი, დროშა).

პირველი ეროვნული კონფერენცია, თბილისი, 2016 წ.
ისტორიული სიმბოლოები თანამედროვე ვექსილოლოგიასა და ჰერალდიკაში



2016 წლის სექტემბერში გაიმართა ჰერალდიკისა და ვექსილოლოგიის პირველი ეროვნული კონფერენცია თბილისში, თემაზე: „ისტორიული სიმბოლოები თანამედროვე ვექსილოლოგიასა და ჰერალდიკაში“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ჰერალდიკოსებმა და ვექსილოლოგებმა სხვადასხვა ქვეყნიდან, ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს ჰერალდიკის საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის წევრებმა, ადგილობრივმა მეცნიერებმა, ჰერალდიკოსებმა, ვექსილოლოგებმა.

თბილისი და თანამედროვე საქალაქო ჰერალდიკა, წყალტუბო, 2017 წ.



2017 წლის 13-15 მაისს წყალტუბოში გაიმართა კონფერენცია თემაზე: „თბილისი და თანამედროვე საქალაქო ჰერალდიკა“. თბილისის საკრებულოსა და მერიის შესაბამისი სამსახურების მუშაკებმა, ისტორიკოსებმა, ჰერალდიკოსებმა თავიანთ მოხსენებებში წარმოადგინეს ქალაქ თბილისის მოქმედი სიმბოლოების ანალიზი, ასევე პრეზენტაციები თანამედროვე ევროპული დედაქალაქების სიმბოლოების (გერბებისა და დროშების) შესახებ.

მეორე ეროვნული კონფერენცია, მესტია, 2019 წ.
სახელმწიფოს ჰერალდიკური პოლიტიკა და საერთაშორისო გამოცდილება

2019 წლის 28 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე მესტიაში გაიმართა მეორე ეროვნული კონფერენცია თემაზე: „სახელმწიფოს ჰერალდიკური პოლიტიკა და საერთაშორისო გამოცდილება“. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ჰერალდიკის საერთაშორისო აკადემიის წევრები, დარგის საერთაშორისო და ადგილობრივი სპეციალისტები, მეცნიერები, ექსპერტები, ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს „ჰერალდიკის საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის“ წევრები.

მამუკა გონგაძე
სახელმწიფო და ჰერალდიკა - სახელმწიფო ჰერალდიკის მნიშვნელობა თანამედროვე საქართველოში 2

Mamuka Gongadze
The Heraldry and the State- the Significance of State Heraldry in the Modern Georgia 2

ნიკოლას ვერნო
სახელმწიფო პოლიტიკა საგვარეულო ჰერალდიკასთან მიმართებაში 4

Nicolas Vernot
Central versus local: the French and Swiss policies as to family heraldry 4

პეტრ ეჭნერი
ჩეხოსლოვაკის დროშა - მისი იდეა და წარმოშობა 6

Petr Exner
Czechoslovak flag, its inspiration and origins 6

მაია პატარიძე
ლითონზე დაწერილი პოლიტიკური პროკლამაციები (დავით აღმაშენებლის მონეტების მიხედვით) 8

Maia Pataridze
Metal Written Political Proclamations (According to David Agmashenebeli's Coins) 8

იორგ მაევსკი
მუნიციპალური დროშები გერმანიაში 10

Jörg Majewski
Municipal flags in Germany 10

ნიკო ჯავახიშვილი
საქართველოს დროშა დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრთა თვალსაზრისით (1917) 12

Niko Javakhishvili
Georgian State flag by the vision of the part of Georgian society in 1917 12

ლუკ დუერლო
სახელმწიფო ხელისუფლება და ადგილობრივი ავტონომია - მუნიციპალური ჰერალდიკა ბელგიაში 14

Luc Duerloo
State Authority and Local Autonomy: Municipal Heraldry in Belgium 14

თორნიკე ასათიანი
საქართველოს ისტორიული საადგილმამოულო გერბების გავლენა თანამედროვე ქართულ ტერიტორიულ ჰერალდიკაზე 17

Tornike Asatiani
Historical Territorial Heraldry and Contemporary Municipal Coats of Arms of Georgia 17

ნიკოლას ჰიუგო
ვექსილური კონსტიტუციურ ვექსილოლოგიაში - გაეროს წევრი სახელმწიფოების კონსტიტუციის მიმოხილვა 19

Nicolas Hugot
A journey through constitutional vexillology - A survey of some Constitutions of member state of the UN member states 19

მირიან კიკნაძე
საქართველოს უწყებრივი სიმბოლოების ცვლილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ემბლემის მაგალითზე 20

Mirian Kiknadze
Change of institutional symbols of Georgia on the example of the emblem of the Ministry of Defence of Georgia 20

ჟერარ მარი ბრულე
კატალონიის ჰერალდიკური პოლიტიკა ნაპოლეონის მმართველობის დროს 22

Gerard Mari Brull
Heraldic Policy in Catalonia during the Napoleonic gouvernement (1810-1814): When Napoleon ruled over the king of Spain 22

დავით კლდიაშვილი
საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების აღმართვის და გამოსახვის წესი 24

David Kldiashvili
Flying and displaying Protocol of Georgian symbols of state importance 24

ჰერალდიკის საბჭოს ჟურნალი „ჰეროლდი“

2012 წლიდან საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო გამოსცემს ყოველწლიურ ჟურნალ „ჰეროლდს“. „ჰეროლდი“ საქართველოში ერთადერთი ყოველწლიური ჟურნალია, რომელიც აქვეყნებს ქართველი და უცხოელი ჰერალდიკოსების, ისტორიკოსების სტატიებსა და კვლევებს ჰერალდიკის, ვექსილოლოგიის, ფალერისტიკის, ნუმიზმატიკის, ბონისტიკის, სფრაგისტიკის, უნიფორმოლოგიისა და ემბლემატიკის საკითხებზე. ჟურნალის 9 ნომერში სულ დაბეჭდილია 82 ავტორის სტატია (აქედან 7 უცხოელია), 7 პორტოლანი და 100-ზე მეტი საარქივო მასალის გვერდი.

„ჰეროლდი“ №1 – 2012 წ.

1. ზოგადი ჰერალდიკა – მალხაზ აფრიდონიძე
2. საქართველოს სახელმწიფო გერბის შესახებ – მამუკა გონგაძე
3. საქართველოს სამხარეო გერბები – თორნიკე ასათიანი
4. ლომი და არწივი – ზაქარია კიკნაძე
5. ევროპის დროშა – მიშელ ლუპანი
6. კომანჩების დროშა – მიხეილ ბარნოვი
7. კონფესიური სიმბოლოები – მალხაზ აფრიდონიძე
8. გველის რელიეფური გამოსახულება ბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭელზე – ელზა კოწოწაშვილი
9. სასულიერო-რაინდული ორდენები –ნათია მირიანაშვილი
10. კომპანია Apple Inc. ლოგო – დავით ბრაგვაძე
11. საქართველოს ღერბი – დავით კაკაბაძე
12. 1918-1921 წლების დოკუმენტაცია სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ (ილუსტრაციები) არქივიდან
13. ქუთაისის, ბათუმის, ფოთისა და რუსთავის სიმბოლიკა (ილუსტრაციები და ბლაზონები)
14. ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის რეგალიები – იოსებ ბიჭიკაშვილი
15. წმინდა მხედრის გამოსახულებიანი საბეჭდავი იცქისიდან – ნანა კაპანაძე
16. ქართული ბონისტიკური ძეგლები – ნიკო ჯავახიშვილი
17. პიეტრო ვესკონტეს 1325 წლის პორტოლანი (ილუსტრაცია და მიმოხილვა)
18. იოანე ბაგრატიონი – სჯულდება
19. საქართველოს შეიარაღებული ძალების სიმბოლიკის ესკიზები
20. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახელმწიფო გერბის შესახებ“

„ჰეროლდი“ №2 – 2013 წ.

1. აფხაზეთის სიმბოლიკისათვის – მამუკა გონგაძე
2. ჯოვანი ორლანდის ნახატი „სიმონი. პრინცი საქართველოდან“ – ალექსანდრე ბოშიშვილი
3. საქართველოს სახელმწიფო დროშის ისტორიის საკითხისათვის – თორნიკე ასათიანი
4. უძველესი ქართული სამეფო ბეჭდის გამოსახულება – თემო ჯოჯუა
5. საარქივო მასალები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო, სამხედრო და საბაჟო დროშების შესახებ (1918 -1921)
6. გვირგვინი – ზაქარია კიკნაძე
7. ანჯელინო დულჩერის 1339 წლის პორტოლანი (ილუსტრაცია და მიმოხილვა)
8. უკრაინის რეგიონების ახალი სიმბოლიკა – ანდრეი გრეჩილო
9. იაპონური ჰერალდიკის მოკლე მიმოხილვა – მირიან კიკნაძე
10. ჩერქეზთა ეროვნული დროშის ისტორია – გიორგი გურჯიძე

11. როგორ ხვდებოდნენ ადიღეში შაფსუღების დროშას 1926 წელს – ნაიმა ნეფლიაშვა
12. ინგუშეთის ჰერალდიკური ატრიბუტიკა – მარიამ ბეჟიტაშვილი
13. კახეთის მუნიციპალიტეტების სიმბოლიკა (ილუსტრაციები და ბლაზონები)
14. ამერიკის კონფედერაციული შტატების სახელმწიფო – მიხეილ ბარნოვი
15. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები – ნიკო ჯავახიშვილი
16. მსოფლიო ბრენდების ლოგოების ევოლუცია – დავით ბრაგვაძე
17. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ
18. რეზიუმეები ინგლისურ ენაზე

„ჰეროლდი“ №3– 2014 წ.

1. უძველესი ქართული გერბი – ზაქარია კიკნაძე
2. საქართველოს გერბები ჰენრი შატელანის „ისტორიული ატლასის“ მიხედვით – გიორგი ლობჟანიძე
3. მოლაპარაკე ქვები – დავით გოგუაძე
4. ლიტვის თანამედროვე ჰერალდიკა – აგნე რაილაიტე-ბარდე
5. სამეფო სკიპტრის ორი ფრაგმენტის ისტორია – ნატალია ბერუჩაშვილი
6. სახელმწიფო ჰერალდიკის უძველესი ნიმუშები – ზაქარია კიკნაძე
7. სოციალიზმის სიმბოლოების წარმოშობა – დავით კლდიაშვილი
8. დომენიკო და ფრანჩესკო პიციგანოების 1367 წლის პორტოლანი – გიორგი ლობჟანიძე
9. საქართველოს სსრ ფულის ნიშნები (1921-1922 წწ.) – ნიკო ჯავახიშვილი
10. საარქივო მასალები – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო შტანდარტის შესახებ (1918-1921)
11. იმერეთის სამეფოს დროშა XVII საუკუნის I ნახევარში – თემო ჯოჯუა
12. სამეგრელო-სვანეთის მუნიციპალიტეტების სიმბოლიკა (ბლაზონები და ილუსტრაციები)
13. იაპონური ჰერალდიკის მიმოხილვა (ნაწილი მეორე) – მირიან კიკნაძე
14. ახალი ქართული ფულის შექმნის ისტორიისათვის – მამუკა გონგაძე
15. რეზიუმეები ინგლისურ ენაზე

„ჰეროლდი“ №4 – 2015 წ.



1. ვექსილოლოგიისა და ჰერალდიკის ქვაკუთხედი – ალფრედ ზნამიეროვსკი
2. დროშები შუა საუკუნეების საქართველოში – მამუკა წურწუმია
3. ერეკლე მეორის დიდ ბეჭედზე გამოსახული ტერიტორიული გერბების აღწერილობები (საარქივო მასალა)
4. როგორ იხატებოდა გერბი – ზაქარია კიკნაძე
5. დაღესტანის ვექსილოლოგიის ისტორიიდან: ავარეთის სახანოს დროშის საკითხისათვის – პატიმატ ტახნაევა
6. 1559 წლის დიოგო ომიმის პორტოლანი - გიორგი ლობჟანიძე
7. შუა საუკუნეების პორტოლანებზე დასავლეთ შავი ზღვისპირეთის ქართულ ქალაქებზე დატანილი დროშების შესახებ – დავით ჩხეიძე
8. საქართველოსთან დაკავშირებული ვაზის სიმბოლო სებასტიან მიუნსტერის „კოსმოგრაფიის“ მიხედვით – გიორგი ლობჟანიძე
9. ორთავიანი არწივი – დავით კლდიაშვილი
10. სჯულდება: ნიშნებისათვის ანუ კავალრებისა და სხვათა ჯილდოთათვის – იოანე ბაგრატიონი
11. ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ფულის ნიშნები (1923-1924 წწ.) – ნიკო ჯავახიშვილი
12. დღემდე უცნობი დადამღვის სახე თამარის ახალმოჭრილ მონეტაზე – ევგენი ჭანიშვილი
13. საქალაქო ჰერალდიკა და საფეხბურთო კლუბების ემბლემები. მოამზადა ლევან პეტრიაშვილმა
14. თანამედროვე ქართული მუნიციპალური სიმბოლიკა, ბლაზონები და ილუსტრაციები
15. საცირკულაციო და საიუბილეო მონეტები ილუსტრაციები – მამუკა გონგაძე
16. ინგლისური რეზიუმეები

„ჰეროლდი“ №5 – 2016 წ.



1. ზღვა და აფრიანი ხომალდები ქართული დროშებით სვეტიცხოვლის ფრესკაზე - მანანა გაბაშვილი
2. ბოჰემიის, მორავიისა და სილეზიის ისტორიული სიმბოლოები და მათი გამოსახვა ჩეხეთის მხარეების თანამედროვე გერბებსა და დროშებზე - პეტრ ექსნერი
3. ბელარუსის თანამედროვე ტერიტორიული ჰერალდიკის ისტორიული მემკვიდრეობა - მარინა ელინსკაია
4. მიწერითი ჰერალდიკა - ზაქარია კიკნაძე
5. შუასაუკუნოვან ქართულ მონეტებზე გამოსახული ფიგურული ნიშნების ინტერპრეტაცია: ჰერალდიკური ფიგურა და არა მონოგრამა - ირაკლი ფაღავა
6. მეზღვაურთა საუწყებო ჯილდოები - თემურ ჩაჩანიძე
7. XVIII საუკუნის ჭურჭელი ბაგრატიონთა გერბის გამოსახულებით - გიორგი ლობჟანიძე

8. „საქართველოს სახელმწიფო დროშა და ღერბი“ ზურაბ კიკნაძე
9. საქართველოს სამეფო გერბში კვართის გამოსახვის ისტორია დავით კლდიაშვილი
10. ქუთაისის საქალაქო ხაზინის ჩეკები - ნიკო ჯავახიშვილი
11. თანამედროვე ქართული მუნიციპალური სიმბოლოები

„ჰეროლდი“ №6 – 2017 წ.

1. დროშა – ვაჟა-ფშაველა
2. სპარსი მემატიანის ცნობა XII საუკუნის ქართული დროშის შესახებ – მამუკა წურწუმია
3. ხორვატიის თანამედროვე მუნიციპალური დროშების ისტორიული წარმოშობა – ჟელიკო ჰეიმერი
4. დროშა ზურაბ კიკნაძე
5. ევროპის ჯვრები – ზაქარია კიკნაძე
6. სამხარეო და საქალაქო გერბების განვითარება ქართულ ჰერალდიკაში – თორნიკე ასათიანი
7. ჰერალდიკური იკონოგრაფია XVII-XIX საუკუნეების თბილისის სპილენძის მონეტებზე – ირაკლი ფაღავა
8. ქართული სამიწაწყლო ისტორიული გერბები დავით კლდიაშვილი
9. იმერეთის სამეფოს ჰერალდიკა 1800-1810 წლებში – გიორგი ლობჟანიძე
10. თამარ მეფის ორდენი (პირველი ქართული ორდენის ისტორიიდან) – ნიკო ჯავახიშვილი
11. თანამედროვე ქართული მუნიციპალური სიმბოლოები. ილუსტრაციები

„ჰეროლდი“ №7 – 2018 წ.

ჟურნალ „ჰეროლდის“ ამ ნომერში საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების კრებულს. კრებულში შევიდა სახელმწიფო სიმბოლოები, რომლებიც ამ ბოლო 100 წლის განმავლობაში ჰქონია საქართველოს და ამ სიმბოლოებთან დაკავშირებული კანონები, ნორმატიული აქტები. გამოცემა მოიცავს 1918-1921 წლებს, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან გასაბჭოებამდე, საქართველოს რესპუბლიკის დაფუძნებას, კონსტიტუციის მიღებასა და ძირითადი სახელმწიფო ატრიბუტიკის შემუშავებას. საბჭოთა პერიოდს, როდესაც მოხდა საქართველოს ფაქტობრივი ანექსია, თუმცა რესპუბლიკური წყობა განაგრძობდა არსებობას. 1990-იან წლებს, ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად აღდგენილ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, სიმბოლიკასა და ტოტალიტარიზმიდან გამოსვლის პერიოდს, რომელმაც მნიშვნელოვანწილად შეაფერხა სახელმწიფოებრივი აღ-

მშენებლობის პროცესი. 2004 წლიდან ახალი სახელმწიფო ინსტიტუტების დაფუძნებისა და მოქმედი სახელმწიფო სიმბოლოების დადგენის პერიოდს.

„ჰეროლდი“ №8 – 2019 წ.



1. რამდენიმე მოსაზრება სახელმწიფო სიმბოლიკასთან დაკავშირებით – ოთარ ჭილაძე
2. წინ მარადისობაა! – ოთარ ჭილაძე
3. სვანეთის დროშა „ლომი“ – სარა ბარნაველი
4. სახელმწიფო დროშების სახესხვაობები: ავსტრია, ბელგია, ჩეხეთი, ესტონეთი, საბერძნეთი, გერმანია, ლატვია, სლოვაკეთი (მიმოხილვა) და საქართველო (პროექტი)
5. რესპუბლიკა მაკედონიის ტერიტორიული ჰერალდიკა. სისტემა – იოვან იონოვსკი
6. ოთხფურცელა ყვავილი თუ ბოლნური ჯვარი? – მაია პატარიძე
7. კონსტანტინოპოლის ლურდის ღვთისმშობლის ქართული ეკლესიის ასაგებად ემიტირებული ლატარიის ბილეთი –როლანდ სპანდერაშვილი, ირაკლი ფაღავა
8. ქართული გერბები XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში – დავით კლდიაშვილი
9. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სიმბოლიკა და აკადემიური სამოსელი – ზაქარია კიკნაძე

10. ქართული სამაგიდო მედალი (საბჭოთა პერიოდი) – ირაკლი ფაღავა
11. საქართველოს დროშა დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრთა თვალსაზრისით (1917 წ.) – ნიკო ჯავახიშვილი
12. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ“
13. საქართველოს კანონი „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“
14. მთავრობის დადგენილება საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებთან ერთად სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის წესის შესახებ
15. საჯარო დაწესებულებების სიმბოლოები. ევროპის ქვეყნების უწყებრივი სიმბოლიკა

„ჰეროლდი“ №9 – 2020 წ.

1. ქართული ჯილდოები (2000 წ.) – მამუკა წურწუმია, მამუკა გონგაძე
2. საქართველოს მოქმედი სახელმწიფო ჯილდოები
3. საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების ჯილდოები
4. ევროპის ქვეყნების სახელმწიფო ჯილდოები
5. ქართული ფალერისტიკის სათავეებთან
6. „ოქროს საწმისის“ ორდენის ისტორია – ზაქარია კიკნაძე
7. ორდენების გამოსახულებანი გერბებზე – თორნიკე ასათიანი
8. შამილის ორდენები – ხაჯი მურად დონოგო
9. 1560 დიოგო ჰომემის პორტოლანი
10. კვლავ ერთიანი მონარქიის დროშის შესახებ ანუ „არასიმართლე... წარმოსახვით ნასაზრდოები“ – მამუკა წურწუმია
11. პრეზიდენტის დროშა
12. თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოები
13. სამართლებრივი აქტები
14. ევროპის ქვეყნების სახელმწიფო ჯილდოები (ცხრილები)

ჰერალდიკის საბჭოს მიერ გამოცემული წიგნები

საქართველოს სახელმწიფო გერბის კონკურსის შესახებ

გამოცემაში აღწერილია საქართველოს სახელმწიფო გერბის დადგენის პროცესი. ისტორიული წინაპირობები, საკონკურსო კომისია, მისი შემადგენლობა, ავტორების მიერ წარმოდგენილი ნაშრომები, გამარჯვებული ვერსიის სახეცვლილება და საბოლოოდ დადგენა სახელმწიფო გერბად. ასევე როგორ მოხდა სახელმწიფო გერბის მოცულობითი ეტალონების დამზადება.

შემდგენელი და ტექსტის ავტორი –
ციცინო ზაქაიძე, 2008 წელი

ევროპული რუკები და საისტორიო წყაროები საქართველოს შესახებ (XVI-XVIII სს.)

წიგნი წარმოადგენს საქართველოს გეოგრაფიული და რუკების კოლექციონერთა საერთაშორისო საზოგადოებების წევრის გიორგი ლობჟანიძის მორიგ სოლიდურ გამოკვლევას. ამ ნაშრომის პირველი პუბლიკაცია 2009 წელს განხორციელდა და იმთავითვე მიიპყრო როგორც მეცნიერთა, ასევე მკითხველთა ფართო წრის ყურადღება. შედგა მისი პრეზენტაციები საქართველოს პარლამენტსა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში. ამჯერად, ეს ნაშრომი შევსებული სახით გამოდის. მასში წარმოდგენილი და მიმოხილულია მხოლოდ ავტორის პირად კოლექციაში დაცული მდიდარი კარტოგრაფიული მასალა, რომელიც ფრიად საყურადღებო ცნობებს შეიცავს XVI-XVIII საუკუნეების საქართველოს და ასევე კავკასიის დანარჩენი ქვეყნების შესახებ.



ავტორი – გიორგი ლობჟანიძე, 2010 წელი
სამეცნიერო რედაქტორი – ნიკო ჯავახიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

მიხეილ ვადბოლსკი და ქართული ჰერალდიკა



წიგნი ეძღვნება საქართველოში მოღვაწე საქართველოს დამსახურებულ მხატვარსა და ლიტერატორს მიხეილ ვადბოლსკის და წარმოადგენს მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე ნარკვევს. წიგნში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული მიხეილ ვადბოლსკის კვლევა-ძიებაზე ქართული წარმართული და ქრისტიანული ხანის სიმბოლიკისა და ემბლემატიკის, ჰერალდიკის სფეროში. პირველადაა სრულად წარმოდგენილი მისი ჰერალდიკური მემკვიდრეობა და გამოყენებულია მის მიერ სახელმწიფო არქივისთვის გადაცემული მასალები.

წიგნი ერთნაირად საინტერესოა როგორც სპეციალისტების, ისე მკითხველთა ფართო წრისთვის.

საარქივო მასალები დაამუშავა და წიგნი გამოსაცემად მოამზადა იოსებ ბიჭიკაშვილმა
სამეცნიერო რედაქტორი – მალხაზ აფრიდონიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
2010 წელი

ქართული გერბთმცოდნეობა ანუ ჰერალდიკა

ნაშრომი საფუძვლიანად და ზედმიწევნით შეისწავლის საქართველოში ჰერალდიკურ ტრადიციას და არის ერთგვარი მცდელობა, აღმოფხვრას ნაკლებობა, რომელიც შექმნილია საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიაში იდეოლოგიური ტაბუების გამო. განიხილავს გერბის, ჰერალდიკის რაობას, ჰერალდიკის – როგორც დისციპლინის საკვლევ საგანს – გერბთმცოდნეობას, წყაროებს, მოიცავს მომიჯნავე დარგების – ნუმიზმატიკისა და სფრაგისტიკის საკითხებს. წიგნში გამოკვლეულია ავტორის ხელთ არსებული საქართველოში შექმნილი უკლებლივ ყველა საგვარეულო, სამხარეო თუ ე.წ. კორპორაციული გერბი, აგრეთვე უცხოეთში დაფიქსირებული საქართველოსთან რაიმე სახით მაინც დაკავშირებული ნებისმიერი ტიპის გერბი, მისი შემადგენელი სიმბოლოები და გამოსახულებები.



ავტორი – თორნიკე ასათიანი, 2010 წელი
სამეცნიერო რედაქტორი – მალხაზ აფრიდონიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

თანამედროვე საქართველოს ჰერალდიკა

წიგნი წარმოადგენს თანამედროვე საქართველოს სახელმწიფო ჰერალდიკის შესწავლის ცდას, რომელშიც აღწერილია 1918-1921 წლების დემოკრატიული საქართველოს ატრიბუტიკა და 1989 წლიდან ისტორიული დროშისა და გერბის აღდგენასთან დაკავშირებული პროცესები. შეკრებილია სახელმწიფო სიმბოლიკის კომისიისა და პარლამენტის ფრაქციათაშორისი ჯგუფის შეკრებებზე, კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების კომიტეტისა და პარლამენტის სხდომებზე წაკითხული მოხსენებები, განხილული საკითხები.

ავტორი – დავით კლდიაშვილი, 2008 წელი
რედაქტორი – ზაქარია კიკნაძე, მხატვარი, ჰერალდიკის სპეციალისტი

აფხაზეთის სიმბოლიკისათვის

ოთხენოვანი (ქართული, აფხაზური, ინგლისური და რუსული) გამოცემა. მასში წარმოდგენილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიასთან ისტორიულად დაკავშირებული სიმბოლოები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში იყო გამოსახული ან დატანილი დოკუმენტებზე, საზღვაო რუკებზე... კვლევა ცხადყოფს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი არაღიარებული რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა შედგენილია საქართველოს სახელმწიფოსთან ისტორიულად გაიგივებული სიმბოლოებით. გამოცემას თან ერთვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის სამი და დროშის ერთი პროექტი.

ავტორი – მამუკა გონგაძე, 2016 წელი
რედაქტორი – დავით ჩხეიძე

საქართველოს სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების გამოსახვის, აღმართვისა და გამოფენის წესი

საქართველოში სახელმწიფო სიმბოლოების (გერბი, დროშა, შტანდარტი) აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის ერთიანი სისტემის შექმნისათვის ჰერალდიკის საბჭომ ჩეხეთსა და დიდ ბრიტანეთში სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესებისა და დამკვიდრებული პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე

მოამზადა და გამოსცა პროექტი, რომელმაც 2019 წლის ივნისში საქართველოს მთავრობის დადგენილების სახე მიიღო.

გამოფენები

2014 წელს ჰერალდიკის საბჭომ მუშაობა დაიწყო პროექტზე საქართველოს თანამედროვე სახელმწიფო სიმბოლოების პოპულარიზაციის მიზნით, რაც მოიცავდა ქვეყნის მუნიციპალიტეტებში გამოფენების სერიას თემაზე: „თანამედროვე ქართული სახელმწიფო სიმბოლოები“. გამოფენის დროს მოსწავლე-ახალგაზრდობასა და ფართო საზოგადოებას ეცნობოდა და განემარტებოდა, თუ როგორ იქმნება, დგინდება და ვითარდება თანამედროვე ქართული სიმბოლიკა, სახელმწიფო ატრიბუტიკა. მათ შორის უნიფორმოლოგია, ნუმიზმატიკა, ფალერისტიკა, ჰერალდიკა და ვექსილოლოგია; როგორ მკვიდრდება ამ მიმართულებით ევროპული სტანდარტები.

2014 წლიდან დღემდე გაიმართა 26 გამოფენა:

2014 წელი – ბათუმი, მესტია

2015 წელი – ცაგერი, ამბროლაური, დმანისი, ბოლნისი, ნინოწმინდა, ახალქალაქი, ახალციხე, ონი, ყვარელი

2016 წელი – დუშეთი, დუისი, საჩხერე

2017 წელი – მარნეული, გორი, წყალტუბო, ქუთაისი, სენაკი, ზუგდიდი

2018 წელი – ფოთი, თბილისი, კიევი, გარდაბანი

2019 წელი – რუსთავი

2020 წელი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოფენა და ლექცია თემაზე: „ქართული ჰერალდიკა“.

ბათუმი, 2014 წ.

მესტია, 2014 წ.

ცაგერი, 2015 წ,

ამბროლაური, 2015 წ,

დმანისი, 2015 წ.

ბოლნისი, 2015 წ.

ნინოწმინდა, 2015 წ.

ახალქალაქი, 2015 წ.

ახალციხე, 2015 წ.

ონი, 2015 წ,

ყვარელი, 2015 წ.

დუშეთი, 2016 წ.

დუისი, 2016 წ.

საჩხერე, 2016 წ.

გორი, 2017 წ.

მარნეული, 2017 წ.

წყალტუბო, 2017 წ.

ქუთაისი, 2017 წ.

სენაკი, 2017 წ.

ზუგდიდი, 2017 წ.

ფოთი, 2018 წ.

გარდაბანი, 2018 წ.

თბილისი, 2018 წ.

რუსთავი, 2019 წ.

ბათუმი, 2020 წ.

კიევი, 2018 წ.

2018 წლის 26 მაისს საქართველოს პარლამენტთან არსებულმა ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავთან დაკავშირებით, რუსთაველის გამზირზე, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის ეზოში პირველად წარმოადგინა საქართველოს ისტორიული დროშების გამოფენა. კერძოდ, ქალაქებზე – თბილისზე, სოხუმსა და ფოთზე საუკუნეების განმავლობაში აღმართული დროშები, რომლებიც დატანილია ევროპელ კარტოგრაფთა საზღვაო რუკებზე. წარმოდგენილი იყო ქართული ჰერალდიკისა და სახელმწიფო ატრიბუტიკის განვითარების საფეხურები, საქართველოს სახელმწიფო დროშის ისტორია.

2018 წლის მაისში საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საქართველოსა და უკრაინას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების მე-100 წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიებების შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების გამოფენა გაიმართა უკრაინის დედაქალაქ კიევში.

თბილისის ისტორიული დროშების გამოფენა, 2018 წ.

საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების კრებულის პრეზენტაცია და გამოფენა
თბილისის საკრებულოში, 2018 წ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო

ვირტუალური გამოფენა, 2020 წ.

2018 წლის 27 მაისი. ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსა და ქალაქ თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ორგანიზებით საკრებულოს შენობაში გაიმართა სახელმწიფო სიმბოლოების გამოფენა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი „ჰეროლდის“ საიუბილეო ნომრის პრეზენტაცია. კრებულში ავტორებთან ერთად შევიდა ყველა სახელმწიფო სიმბოლო, რომლებიც 100 წლის განმავლობაში ჰქონია საქართველოს რესპუბლიკას, მათ შორის სახელმწიფოებრივი ანექსიისა და საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავს მიეძღვნა ეროვნული ბიბლიოთეკისა და ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს მიერ შექმნილი ვირტუალური გამოფენა, სადაც წარმოდგენილია, თუ როგორ შეიქმნა სახელმწიფოებრიობის მთავარი იდეა – საქართველოს სახელმწიფო გერბი, ვინ იყო მისი პირველი ავტორი, როგორ ჩამოყალიბდა დღევანდელი სრულყოფილი სახით და დადგინდა; საქართველოს სახელმწიფო დროშის შექმნა, მისი გაუქმება და ხელახლა აღდგენა დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად; საბოლოოდ, ისტორიული მრავალსაუკუნოვანი დროშის მიკვლევა დასავლეთ ევროპის წიგნსაცავებში და მისი დადგენა სახელმწიფოებრიობის მთავარ ეროვნულ სიმბოლოდ.

საპატიო მედალიონები

საქართველოს რესპუბლიკის 100 და საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს დაარსების 10 წლისთავთან დაკავშირებით, საბჭომ დაამზადა 30 ცალი სამახსოვრო მედალიონი – „საქართველოს სახელმწიფო ჰერალდიკაში შეტანილი წვლილისათვის“. მედალიონები გადაეცათ იმ პირთ, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, სახელმწიფო ჰერალდიკის ჩამოყალიბებაში, სხვადასხვა ეტაპზე მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო და სახელმწიფო სიმბოლოების შექმნაში, სიმბოლოებთან დაკავშირებული კანონმდებლობის ინიცირებასა და სრულყოფაში, ჰერალდიკური ტერმინოლოგიისა და ნორმების დადგენაში.

მედალიონი – „ქართული პარლამენტარიზმის 100 წელი“, 2019 წ.

საარქივო მასალა

ჰერალდიკის საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა მსოფლიოს ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების არქივებში დაცული მასალების მოძიება, შესწავლა და შეგროვება ჰერალდიკის საბჭოს არქივისთვის. ასევე შუა საუკუნეების (XIV-XVI სს.) პორტოლანები (საზღვაო რუკები), რომლებზეც საქართველო გამოსახულია ისტორიული ხუთჯვრიანი დროშით.

გრიუნენბერგის მიერ საქართველოსთვის (Gedryen) მიწერილი პირველი გერბი, 1483 წ.

გრიუნენბერგის მიერ საქართველოსთვის (georrÿen) მიწერილი მეორე გერბი, 1483 წ.

ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოსი, 1735 წ.

საქართველოსა და ბაგრატიონთა დინასტიის გერბი სამოციძულოდან, 1709 წ.

ივერიისა და ქართლის გერბები, „ტიტულარნიკი", 1672 წ.

გრიუნენბერგის მიერ აფხაზეთისთვის მიწერილი მეორე გერბი, 1483 წ.

გრიუნენბერგის მიერ აფხაზეთისთვის მიწერილი პირველი გერბი, 1483 წ.

ლაზეთის გერბი გრიუნენბერგის მიხედვით (kung von lasÿa gehört undern kan), 1483 წ.

ჰერალდიკის საბჭოს მიერ მოპოვებული საზღვაო რუკები მუდმივად გამოფენილია ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოში, ასევე ჰერალდიკის საბჭოს და საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ერთობლივად ორგანიზებულ გამოფენაზე ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარ კორპუსში.



1325 წ. გენუელი პიეტრო ვესკონტეს პორტოლანი, დიდი ბრიტანეთის სამეფო ბიბლიოთეკა; დროშები ქალაქების – სოხუმისა და ფოთის თავზე

1339 წ. კატალონიელი ანჯელინო დულჩერის პორტოლანი. პარმის ბიბლიოთეკა. დროშები ქალაქ თბილისისა და ცხუმის (სებასტოპოლისის) თავზე

1367 წ. ვენეციელი ძმების ფრანჩესკო და დომენიგო პიციგანების პორტოლანი, პარმის ბიბლიოთეკა; დროშა ქალაქ თბილისის თავზე

1329-1350 წწ. კატალონიელი ანჯელინო დულჩერის პორტოლანი, დიდი ბრიტანეთის სამეფო ბიბლიოთეკა; დროშა ქალაქ სოხუმის თავზე

1439 წ. გაბრიელ დე ვალსეკას პორტოლანი. კატალონიის ეროვნული ბიბლიოთეკა აფხაზეთის სიმბოლიკით

1385 წ. გულიემ სოლერის პორტოლანი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკა.
დროშა ქალაქ სოხუმის (სებასტოპოლისის) თავზე



1447 წ. კატალონიელი გაბრიელ დე ვალსეკას პორტოლანი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკა.
დროშა ქალაქ სოხუმის (სებასტოპოლისის) თავზე

1559 წ. დიეგო ომემის საზღვაო რუკა, პარიზის ბიბლიოთეკა; სამეგრელოს სამთავროს დროშა

1560 წ. ქალაქი ვენეცია, ბიბლიოთეკა მარჩიანა. დიეგო ომემის პორტოლანი

1561 წ. დიეგო ომემის პორტოლანი. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკა.
სამეგრელოს სამთავროს დროშა

1450 წ. ქალაქი მოდენა, ესტენსეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა.
აფხაზეთის სიმბოლიკა. ავტორი უცნობია



2013 წელს თურქეთში, სტამბოლის სამხედრო არქივში დაცული იოჰანეს დე ვილადესტეს 1428 წლის პორტოლანი. გამოსახულია დროშა წითელ ფონზე მოსეს ხელით



„ყველა სამეფოს შეცნობის წიგნი“, ბავარიის სახელმწიფო ბიბლიოთეკა, XIV ს. გამოსახულია დროშა წითელ ფონზე ხელით



საერთაშორისო ურთიერთობები

ჰერალდიკის საბჭოს საქმიანობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა უცხოურ ჰერალდიკურ და ვექსილოლოგიურ სამსახურებთან ურთიერთობა, რადგან მათთან კავშირის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე სახელმწიფოს მოწყობა მსოფლიოში დამკვიდრებული სტანდარტების მიხედვით.

ფინეთი

2011 წლის აპრილში საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს ეწვია ფინეთის რესპუბლიკის ეროვნული არქივის გენერალური დირექტორი და ჰერალდიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე იუსი ნუორტევა.

ჩეხეთი

2012 წლის ნოემბერში საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს წარმომადგენლები ჩეხეთის დეპუტატთა პალატის ჰერალდიკისა და ვექსილოლოგიის ქვეკომიტეტის მიწვევით იმყოფებოდნენ პრაღაში. დელეგაცია შეხვდა ჩეხეთის ჰერალდიკისა და ვექსილოლოგიის ქვეკომიტეტის წევრებს, აგრეთვე ჰერალდიკოსებს, ვექსილოლოგებს, ისტორიკოსებს, რომლებიც მუშაობენ ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე ჩეხეთში. დელეგაცია დაესწრო ჰერალდიკისა და ვექსილოლოგიის ქვეკომიტეტის სამუშაო სხდომას. აგრეთვე გაიმართა ჩეხეთის ვექსილოლოგიური საზოგადოების წევრებისა და ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს წარმომადგენელთა შეხვედრა.

ბელგია (FIAV)

2015 წლის აგვისტოში შედგა ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს დელეგაციის ვიზიტი ქალაქ ბრიუსელში, სადაც გაიმართა შეხვედრა საერთაშორისო ვექსილოლოგიური ასოციაციების ფედერაციის (FIAV) პრეზიდენტთან, ევროპულ-ბელგიური დროშების კვლევითი ცენტრის დამაარსებელთან, მიშელ ლუპანთან, სადაც განიხილეს თვითმმართველი ორგანოების, ტერიტორიული სიმბოლიკის (გერბი, დროშა და სხვა) შემუშავების, მიღებისა და რეგისტრაციის და აგრეთვე საქართველოში კონფერენციის ჩატარების საკითხები.

პორტუგალია

2015 წლის 17-20 ნოემბერს გაიმართა პრეზენტაცია პორტუგალიის გეოგრაფიის საზოგადოებაში საქართველოს თანამედროვე ჰერალდიკის შექმნისა და მისი ისტორიული წინაპირობების შესახებ. პორტუგალიის გეოგრაფიის საზოგადოების „გენეალოგიის, ჰერალდიკისა და ფალერისტიკის“ სექციამ საქართველოს სახელმწიფო გერბის ავტორი მამუკა გონგაძე დააჯილდოვა საიუბილეო მედლით. აგრეთვე ხელი მოეწერა მემორანდუმს „ურთიერთთანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების შესახებ“ .

Memorandum of Agreement

between

The Heraldry Committee of the Portuguese Archeologist Society

and

The State Council of Heraldry of Georgia

This historic MEMORANDUM OF AGREEMENT between The Heraldry Committee of the Portuguese Archaeologist Society, represented by the President of the Committee Mr. Pedro Sameiro, and The State Council of Heraldry of Georgia, represented by the Deputy Chairman of the Council Mr. Mamuka Gongadze, recognizes the importance of establishing relationship that fosters mutual understanding, sharing experience and a commitment to working together for the improvement of heraldic design, development, standardization, quality control, and other services relating to official symbolic items of Portugal and Georgia.

Pedro Sameiro

Mamuka Gongadze

ბელარუსი

2016 წლის მაისში გაიმართა შეხვედრა მინსკში, ბელარუსის პრეზიდენტთან არსებულ ჰერალდიკის საბჭოში ამ საბჭოს თავმჯდომარესა და წევრებთან ბელარუსისა და საქართველოს ჰერალდიკურ ორგანიზაციებს შორის ურთიერთანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების საკითხებზე. საბჭოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ბელარუსის პრეზიდენტთან არსებული ჰერალდიკური საბჭოს მუშაობაში, სადაც განიხილეს ბელარუსის თვითმართველი ორგანოების, ტერიტორიული სიმბოლიკის (გერბი, დროშა) შემუშავების, მიღებისა და რეგისტრაციის საკითხები.

ბელგია (ფლანდრია)

2016 წლის 19-23 ივნისს ჰერალდიკის საბჭოს დელეგაცია იმყოფებოდა ბელგიის სამეფოში, ქალაქ ანტვერპენში, ფლანდრიის ჰერალდიკური საბჭოს მიწვევით. შეხვედრა გაიმართა ფლანდრიის ჰერალდიკური საბჭოს პრეზიდენტთან, პროფესორ ლუკ დუელროსთან და საბჭოს წევრებთან, სადაც ხელი მოეწერა მემორანდუმს: „ურთიერთთანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების შესახებ“.



Memorandum of Agreement (MOA)

between

the Flemish Heraldic Council

and

the State Council of Heraldry of Georgia

This MEMORANDUM OF AGREEMENT between the Flemish Heraldic Council, represented by the Chairman of the Council, Prof. Dr. Luc Duerloo, and the State Council of Heraldry of Georgia, represented by the Deputy Chairman of the Council, Mr. Mamuka Gongadze, recognizes the importance of establishing a relationship that fosters mutual understanding, sharing experience and working together for the improvement of heraldic design, development, standardization, quality control, and other services relating to heraldry in the Flemish Community of Belgium and in Georgia.

Antwerp, 20 June 2016

საფრანგეთი

2016 წლის ოქტომბერში პარიზში, საბჭოს წევრებმა გამართეს შეხვედრები ლევილში ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებთან. ამასთან, მოიძიეს და შეისწავლეს საქართველოსთვის ახალგადმოცემული ლევილის მამულის ბიბლიოთეკასა და არქივებში დაცული სახელმწიფო სიმბოლოები, ჰერალდიკური და ვექსილოლოგიური ნიმუშები; აგრეთვე, საქართველოსთან დაკავშირებული სხვა ისტორიული მასალები. უზრუნველყვეს ისტორიული მასალების მაღალი რეზოლუციით შესრულებული ციფრული გამოსახულებების მოპოვება და საქართველოში ჩამოტანა.

ლიეტუვა და ლატვია

2016 წლის აგვისტოში ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს ესტუმრნენ ლიეტუვას ზარაფხანის წარმომადგენლები.

2017 წლის ივნისში გამოცდილების გაზიარების მიზნით საინტერესო შეხვედრები გაიმართა ლიეტუვასა და ლატვიაში. ლიეტუვაში ხელი მოეწერა მემორანდუმს პრეზიდენტთან არსებულ ჰერალდიკურ კომისიასთან „ურთიერთთანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების შესახებ“. აგრეთვე შედგა ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს ვიზიტი ლიეტუვას ზარაფხანაში.

ლატვიაში კი ჩვენი დელეგაცია დაესწრო ქვეყნის პრეზიდენტთან არსებული ჰერალდიკური კომისიის სამუშაო სხდომას, სადაც განიხილებოდა ლატვიის თვითმმართველი ორგანოების, ტერიტორიული სიმბოლიკის



MEMORANDUM OF AGREEMENT (MOA)

between

Lithuanian Heraldry Commission

and

State Council of Heraldry at the Parliament of Georgia

This MEMORANDUM OF AGREEMENT between the Lithuanian Heraldry Commission, represented by the Deputy Chairman of the Commission Mr. Vytautas Aleksiejūnas , and the State Council of Heraldry at the Parliament of Georgia, represented by the Deputy Chairman of the Council Mr. Mamuka Gongadze, recognizes the importance of establishing a relationship that fosters mutual understanding, sharing experience and working together for the improvement of heraldic design, development, standardization, quality control, and other services relating to heraldry in Lithuania and in Georgia.

Vilnius, June 27th, 2017

Vytautas Aleksiejūnas

Mamuka Gongadze

(გერბი, დროშა და სხვ.) შემუშავების, მიღებისა და რეგისტრაციის საკითხები.

კომისიის თავმჯდომარესა და წევრებთან ერთად განიხილეს ლატვიისა და საქართველოს ჰერალდიკურ ორგანიზაციებს შორის ურთიერთთანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების საკითხები.

დიდი ბრიტანეთი

2017 წელს საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს წარმომადგენლები – საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფო გერბის ავტორი მამუკა გონგაძე და დიზაინისა და ანალიტიკური სამსახურის უფროსი დავით ჩხეიძე შეხვდნენ დიდი ბრიტანეთის საგერბო კოლეგის ხელმძღვანელს – გარტერ კინგს – სერ ტომას ვუდკოკს. შეხვედრისას მხარეებმა გაცვალეს ინფორმაცია ორ ქვეყანაში არსებული და მიმდინარე ჰერალდიკური პროცესებისა და მათი ტენდენციების შესახებ. ჰერალდიკის საბჭოს წარმომადგენლებმა სერ ტომას ვუდკოკს გააცნეს ადგილობრივი თვითმმართველობის სიმბოლოები, რომელთა შექმნის პროცესი წელს დასრულდა საქართველოში. თავის მხრივ სერ ტომას ვუდკოკმა საბჭოს წევრებს გაუზიარა გამოცდილება დიდ ბრიტანეთში უწყებრივ სიმბოლოებთან დაკავშირებით და მათი შექმნა-ჩამოყალიბების სტანდარტები, ასევე ლონდონის საგერბო კოლეჯში დაცული მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები.

ჰერალდიკის საერთაშორისო აკადემია

2018 წელს ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა გონგაძე ჰერალდიკის საერთაშორისო აკადემიის ასოცირებული წევრი გახდა. ჰერალდიკის საერთაშორისო აკადემია დაარსებულია 1949 წელს და ჰერალდიკის სფეროში წარმოადგენს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ უწყებას.

აშშ

2019 წლის სექტემბერში ჰერალდიკის საბჭოს დელეგაცია იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვაშინგტონში – ამერიკის თავდაცვის ძალების ჰერალდიკის ინსტიტუტში. მნიშვნელოვანი იყო გამოცდილების მიღება სახელმწიფო სიმბოლოების, სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოებისა და განმასხვავებელი ნიშნების, უნიფორმებისა და სხვა ატრიბუტიკის შექმნისა და გამოყენების შესახებ წინადადებათა შემუშავების, ჰერალდიკური ექსპერტიზისა და შესაბამისი დასკვნების მომზადების მიმართულებით. ასევე უნიფორმოლოგიის, ფალერისტიკის, სფრაგისტიკისა და ემბლემატიკის სფეროებში ამერიკელ სპეციალისტთა გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით.

სხვადასხვა დროს ჰერალდიკის საბჭოსთან არსებული კომისიის წევრები

ელდარ შენგელაია (1933 წ.) – კინორეჟისორი, პოლიტიკოსი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე (1999-2003 წწ., 2004-2008 წწ.). 2008 წლიდან საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, 1996 წლიდან საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, 2008 წლიდან ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე. გადამწყვეტი წვლილი შეიტანა თანამედროვე სახელმწიფო სიმბოლოების – საქართველოს სახელმწიფო გერბისა და საქართველოს სახელმწიფო დროშის – დადგენაში, საქართველოს სახელმწიფო დროშის ისტორიული საფუძვლების მოძიებისა და საქართველოს პარლამენტისთვის ისტორიულ-პოლიტიკური დასკვნის მომზადებაში, ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს დაარსებაში.

მამუკა გონგაძე (1963 წ.) – მხატვარი-ჰერალდიკოსი, საქართველოს სახელმწიფო გერბის ავტორი, 1998 წლიდან საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების კომისიის წევრი, „ქართული ჰერალდიკის ასოციაციის“ დამფუძნებელი და თანათავმჯდომარე, 2008-2021 წლებში საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, 2021 წლიდან თავმჯდომარე. 1990-იანი წლებიდან მრავალი გერბის, დროშის, სახელმწიფო და უწყებრივი ჯილდოს, ემბლემის, ინსიგნიის, მონეტისა და განმასხვავებელი ნიშნის ავტორი. გადამწყვეტი წვლილი შეიტანა თანამედროვე საქართველოს სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შექმნასა და მხატვრულ-შინაარსობრივი სახის ჩამოყალიბებაში, ჰერალდიკური პოლიტიკის წარმართვაში.



მამუკა წურწუმია (1966 წ.) – სამხედრო ისტორიკოსი, ისტორიის დოქტორი, ჰერალდიკოსი. „ქართული ჰერალდიკის ასოციაციის“ დამფუძნებელი და გამგეობის წევრი (1997). ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე 2008 წლიდან, თავმჯდომარე (2014-2021 წწ). განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის თანამედროვე სახელმწიფო ჰერალდიკის ჩამოყალიბებაში, მის ფალერისტიკულ ნაშრომში საფუძვლიანადაა განხილული საქართველოსა და თანამედროვე მსოფლიოს დაჯილდოების სისტემები. არის პირველი ქართული სამხედრო-ისტორიული ჟურნალის „მხედარის“ დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი (1991), წელიწდეულის საისტორიო კრებულის მთავარი რედაქტორი (2011 წ.), საერთაშორისო სამეცნიერო ჯილდოს Gillingham Prize-ს მფლობელი, სამხედრო-ისტორიულ თემაზე დაწერილი 80-ზე მეტი სამეცნიერო და საენციკლოპედიო ნაშრომის, 4 წიგნისა და მონოგრაფიის ავტორი.

ზაქარია კიკნაძე (1966 წ.) – ჰერალდიკოსი, მხატვარი-ილუსტრატორი. 1998 წლიდან არის საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების კომისიის წევრი, 2008 წლიდან ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიის წევრი, საქართველოს მოქმედი ჰერალდიკურ-ვექსილოლოგიური სიმბოლოების (გერბი, დროშა) კონცეფციის ერთ-ერთი თანაავტორი, ჰერალდიკური პროექტების ავტორი. მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის თანამედროვე სახელმწიფო ჰერალდიკის ჩამოყალიბებაში.

თორნიკე ასათიანი (1974 წ.) – ჰერალდიკის სპეციალისტი, 2003 წლიდან საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების კომისიის წევრი, 2008 წლიდან ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიის წევრია. 2002 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ქართული გერბთმცოდნეობა ანუ ჰერალდიკა“, არის სამეცნიერო და პოპულარული სტატიებისა და წიგნების ავტორი. მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის თანამედროვე სახელმწიფო ჰერალდიკის ჩამოყალიბებაში.



დავით კლდიაშვილი (1964 წ.) – ჰერალდიკოსი, 1998 წლიდან საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების კომისიისა და სამუშაო ჯგუფის წევრი, სადაც აწარმოებდა კვლევას ქართული ეროვნული დროშის წარმომავლობასა და გარეგნული სახის შესახებ. 1999 წლის 9 ივნისს საქართველოს საპარლამენტო სხდომაზე იყო სახელმწიფო ატრიბუტიკის შესახებ განხილული საკითხის თანამომხსენებელი, 2002-2005 წლებში თბილისის სამხატვრო აკადემიის ასპირანტურის კურსის ხელმძღვანელი ჰერალდიკაში, 2008 წლიდან ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიის, ხოლო 2015 წლიდან ფლორენციის ამბროსი მარტირის სახელობის ისტორიის, ჰერალდიკისა და გენეალოგიის საერთაშორისო აკადემიის წევრია. არის სამეცნიერო წიგნებისა და მონოგრაფიების ავტორი.

მალხაზ აფრიდონიძე (1956 წ.) – ჰერალდიკოსი, ისტორიკოსი. 1996 წლიდან საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების კომისიის წევრი, 2008-2013 წლებში ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს ანალიტიკის სამსახურის, შემდეგში დიზაინისა და ანალიტიკის სამსახურის ანალიტიკის განყოფილების მთავარი სპეციალისტი, მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოში ჰერალდიკის განვითარებასა და თანამედროვე სახელმწიფო ჰერალდიკის ჩამოყალიბებაში.



ვახტანგ რურუა (1940-2014 წწ.) – საქართველოს დამსახურებული მხატვარი, 2008 წლიდან ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან არსებული მუდმივმოქმედი კომისიის წევრი, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს სახელმწიფო დროშის, საქართველოს შეიარაღებული ძალების სიმბოლოების თანამედროვე მხატვრულ-შინაარსობრივი სახის შემუშავებაში, ავტორია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უწყებრივი ჯილდოების.

ნიკოლოზ ჯავახიშვილი (1972 წ.) – ბონისტიკისა და ფალერისტიკის სპეციალისტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 2004 წლიდან საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ჰერალდიკური კომისიის წევრი, საქართველოს სახელმწიფო გერბის ესკიზის დამდგენი საკონკურსო კომისიის წევრი (2004 წ.), საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული ფულის ნიშნებისა და საიუბილეო მონეტების ესკიზის დამდგენი კომისიის წევრი (2005-2009 წწ.). 2008 წლიდან ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან არსებული მუდმივმოქმედი კომისიის წევრია. საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე „ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა)“ (1997 წ.), ხოლო სადოქტორო: „ქართული ბონისტიკა (ქაღალდის საფასთმცოდნეობა)“ (2003 წ). ავტორია 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 20 წიგნისა. 2014 წლის 10 ივნისს მიენიჭა ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დოქტორის წოდება (Doctor Honoris Causa).

გოჩა ჯაფარიძე (1942-2020 წწ.) – ისტორიკოსი, პროფესორი, ორიენტალისტი, დიპლომატი. ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან არსებული მუდმივმოქმედი კომისიის წევრი 2014 წლიდან. არაერთი სამეცნიერო ნაშრომისა და მონოგრაფიის, ავტორი. გამოქვეყნებული აქვს ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი აკადემიურ გამოცემებში ქართულ, ევროპულ და არაბულ ენებზე. დაჯილდოებულია ივანე ჯავახიშვილის მედალითა და ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით.

მირიან კიკნაძე (1963 წ.) – მხატვარი, ჰერალდიკოსი, ქართული ჰერალდიკის ასოციაციის წევრი, 2003 წლიდან საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების კომისიის წევრი, 2008 წლიდან ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიის წევრი. სახელმწიფო მნიშვნელობის რიგი სიმბოლოების (მუნიციპალური დროშებისა და გერბების, უწყებრივი ჯილდოების) ავტორი.

დავით ჩხეიძე (1981 წ.) – 2014 წლიდან ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს დიზაინისა და ანალიტიკის სამსახურის უფროსი, 2021 წლიდან თავმჯდომარის მოადგილე, 2015 წლიდან ჟურნალ „ჰეროლდის“ მთავარი რედაქტორი, მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი სიმბოლოებთან დაკავშირებული კანონმდებლობის სრულყოფაში.

თეიმურაზ ჯოჯუა (1972 წ.) – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. მიკვლეული, შესწავლილი და გამოქვეყნებული აქვს ჩვენამდე მოღწეული უძველესი ბეჭდის (საბეჭდავის) ანაბეჭდები ხუთჯვრიანი სიმბოლიკითა და საქართველოს მეფე გიორგის ლეგენდით (XII-XIV სს.); შესწავლილი აქვს იმერეთის სამეფო დროშა (XVII ს.) და სამეცნიერო ლიტერატურაში პირველმა დაადგინა ამ დროშის ფერი.

მიხეილ სამსონაძე (1932-2018 წწ.) – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, 2008 წლიდან იყო ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიის წევრი.

იოსებ ბიჭიკაშვილი (1966 წ.) – ჰერალდიკოსი, გენეალოგი. 2004 წლიდან საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების კომისიის წევრი, 2008 წლიდან ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიის წევრი. დინასტიური კავშირის „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიული განყოფილების ხელმძღვანელი (1995 წლიდან); საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკის გენეალოგიური ცენტრის წამყვანი სპეციალისტი (1999-2001 წწ.); „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ თავმჯდომარის მოადგილე (1995-2018 წწ.); სამეფო და თავად-აზნაურთა საერთაშორისო კომისიის საბჭოს წევრი და დიპლომატი (The International Commission on Nobility and Royality Diplomate and Fellow) (2009 წლიდან), 160 სამეცნიერო ნაშრომის (ისტორია, ჰერალდიკა, გენეალოგია, ვექსილოლოგია, ნუმიზმატიკა, საარქივო მასალები, ისტორიული წყაროები) ავტორი.

გიორგი ლობჭანიძე (1975 წ.) – საქართველოს ნუმიზმატიკის, ჰერალდიკისა და ისტორიული რუკების ერთ-ერთი პირველი ონლაინ-კატალოგის ავტორი (2001-2005 წწ.). 2010 წლიდან ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიის წევრი. მონოგრაფიისა და მრავალი პუბლიკაციის ავტორი, მათ შორის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში. ჰერალდიკის მიმართულებით მისი პუბლიკაციებია: „საქართველოს გერბები ჰენრი შატელანის ისტორიული ატლასის მიხედვით (XVIII საუკუნის პირველი ნახევარი)“, „ჰეროლდი“, 2014; საქართველოსთან დაკავშირებული ვაზის სიმბოლო სებასტიან მიუნსტერის კოსმოგრაფიის მიხედვით, „ჰეროლდი“, 2015; XVIII საუკუნის ჭურჭელი ბაგრატიონთა გერბის გამოსახულებით, „ჰეროლდი“, 2016; იმერეთის სამეფოს ჰერალდიკა 1801-1810 წლებში, „ჰეროლდი“, 2017. ექიმი, მედიცინის დოქტორი.

არჩილ კოხრეიძე (1958 წ.) – ისტორიკოსი, ისტორიის დოქტორი. 2009 წელს ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს მოწვეული სპეციალისტი. ჰერალდიკის საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიის წევრი.

ირაკლი ფაღავა (1979) – ისტორიის დოქტორი, ნუმიზმატი. 2010 წლიდან ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიის წევრი. გამოკვლეული აქვს ქართული სამონეტო იკონოგრაფიის ჰერალდიკური ასპექტები.

დავით გოგუაძე (1960 წ.) – არქიტექტორი, კინორეჟისორი, უძველესი ისტორიის, პრეისტორიული კლდის მხატვრობისა და პეტროგლიფების მკვლევარი. 2013-2015 წლებში ჰერალდიკის საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიის წევრი. „საქართველოს პეტროგლიფების დიდი კატალოგის“ ავტორი.

უცხოელი ექსპერტები საქართველოს ჰერალდიკის საბჭოს შესახებ

მიშელ ლუპანი – ჩემი გაცნობა საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან და კერძოდ, მამუკა გონგაძის საქმიანობასთან დაიწყო მაშინ, როცა სიხარულით აღმოვაჩინე ჟურნალ „ჰეროლდის“ პირველი ნომერი, რომელიც გამოცემულია 2012 წელს მრავალწლიანი მუშაობისა და კვლევების შედეგად. ეს ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო, რადგან ამ დრომდე საქართველოს ჰერალდიკისა და ვექსილოლოგიის შესახებ ძალიან მცირე მასალა მოიპოვებოდა. მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ დროთა განმავლობაში გამოჩნდა საბჭოს მიერ ინგლისურად ნათარგმნი მასალაც. 2012 წლიდან დღემდე საბჭომ გამოსცა მრავალი საინტერესო და ჩემთვის უცნობი ინფორმაცია: ბროშურა საქართველოს მუნიციპალური და სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ, სამხედრო დროშათა პაკეტები, კანონები სიმბოლიკის დამტკიცებისა და გამოყენების შესახებ, ჩატარდა ორი ეროვნული კონგრესი ჰერალდიკისა და ვექსილოლოგიის საკითხებზე. საბჭომ გვაჩვენა ქართული ჰერალდიკის მრავალფეროვნება.

თქვენი ორგანიზაცია, რომელიც ჩემი პრეზიდენტობის დროს გახდა „Fédération internationale des Associations vexillologiques”-ის (FIAV) წევრი, მუდმივად ვითარდება. პრეზიდენტის შტანდარტის პროექტი იყო ძალიან წარმატებული მხატვრულ-შინაარსობრივი თვალსაზრისით.

დიდი სიამოვნებით ვულოცავ ქართველ კოლეგებს ჟურნალ „ჰეროლდის“ მეათე, საიუბილეო ნომრის გამოცემას და ვუსურვებ საინტერესო შეხვედრებით, პუბლიკაციებითა და ახალი აღმოჩენებით სავსე მომავალს.

In relation with Georgian heraldists and particularly Mamuka Gongadze since the beginning of the 1990s, I was very happy to discover the first bulletin „Herold“ issued in 2012 which was the result of many years of work and research. It was a very interesting issue because very few material about Georgia had been published. Since that time some words appeared in English and it was welcomed to understand more about Georgia. Georgian language was very difficult for us. Since 2012 more issued were published, also the report of the 1st National Congress of Heraldry and Vexillology, and a volume on „The States Symbols of Georgia“ particularly interesting with the publication of rare and unknown documents . Since 2012 information on municipal flags and arms, Military (Air Force, Army, Navy) flags and, laws on symbols were published. It showed us the diversity of Georgian emblems.

Your organization which became a member of the „Fédération internationale des associations vexillologiques“ (FIAV) during my presidency has grown more and more. The last publication of a flag, the presidential standard, was a success in the symbolism of the design.

With a great pleasure I congratulate the State Council of Heraldry at the Parliament of Georgia at the occasion of the 10th anniversary of the publication of its bulletin „Herold“.

All my wishes for a future rich in discoveries, meetings and publications.

ლუკ დუერლო – როგორც ფლანდრიის ჰერალდიკის საბჭოს პრეზიდენტი, მივესალმები ჩემს კოლეგებსა და მეგობრებს საქართველოს ჰერალდიკის საბჭოდან. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ბოლო 25 წლის განმავლობაში გახლავთ ის, თუ როგორ ხდება ქვეყნების გათავისუფლება ავტორიტარული რეჟიმისაგან და როგორ მიმართავენ ჰერალდიკის ენას თვითმყოფადობის, ისტორიისა და ახალშეძენილი თავისუფლების გამოსახატად. ჩვენ, ფლანდრიის ჰერალდიკის საბჭოდან დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალყურს მათ განვითარებას, ვაძლევთ რჩევებს და ამავდროულად ვსწავლობთ, რადგან ჩვენ გვაქვს საერთო გზა.

As president of the Flemish Heraldic Council, I would like to salute my colleagues, „brothers in arms“ and above all friends of the Georgian State Council of Heraldry. One of the most interesting developments in heraldry in the last few twenty-five years has been how countries that countries that freed themselves from authoritarian regimes, have used heraldry as a way to express this. A way to express their history, their identity, and their newfound freedom. We in the Flemish Heraldic Council follow these developments with great interest. We advise and we learn, because this is by no means a one-way street.

ნიკოლას ვერნო – განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ჰერალდიკის საერთაშორისო აკადემიის გენერალური მდივნის თანამდებობა მაძლევს საშუალებას, რომ მივესალმო ჩემს კოლეგებს და მეგობრებს საქართველოს ჰერალდიკის საბჭოდან. ჰერალდიკა უზარმაზარ ბაღს ჰგავს, სადაც თითოეულ ერს, თითოეულ კულტურას თავისი ყვავილები, ფოთლები, სურნელი აქვს. ბოლო წლების განმავლობაში, ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭომ თავისი ძლიერი შემოქმედებით გაალამაზა ჰერალდიკის საერთაშორისო მშვენიერი ბაღი. მათი გერბები აერთიანებს ტრადიციებს, თანამედროვე ტენდენციებს და ხაზს უსვამს ქართულ იდენტობას. ქართული ჰერალდიკა ერთგვარი მოსაწვევია ქართული კულტურის აღმოსაჩენად.

A ce titre, en tant que secrétaire général de l’Académie internationale d’héraldique, il m’est particulièrement agréable de saluer mes collègues et amis du Conseil national d’héraldique de la République de Géorgie. L’héraldique, c’est comme un immense jardin où chaque nation, chaque culture, apporte ses fleurs, ses feuillages, ses parfums. Depuis quelques années, le Conseil national d’héraldique de la République de Géorgie a apporté, par ses créations, des touches éclatantes à ce beau jardin de l’héraldique internationale. Les compositions proposées mettent en lumière l’identité géorgienne, faite à la fois de tradition et de modernité. Et pour nous autres étrangers, c’est une formidable invitation au voyage et à la découverte de la culture géorgienne.

აგნე რაილაიტე-ბარდე – დიდი სიხარულითა და სიამოვნებით გილოცავთ იუბილეს და თქვენ მიერ გაწეული დიდი და თანამიმდევრული შრომის შედეგებს. თქვენი მონაწილეობა და საქმიანობა ჰერალდიკის სფეროში ყველასთვის სამაგალითოა. ჩვენი საქმიანობაც მით უფრო საინტერესოა, როცა ვიცით, რომ ნებისმიერ დროს შეგვიძლია მოგმართოთ შეკითხვებით და გაგიზიაროთ პროფესიული გამოცდილება. მსოფლიოში ბევრი ქვეყანაა უნიკალური ისტორიით, კულტურითა და მენტალიტეტით. ყველა ეს ქვეყანა მიჰყვება სახელმწიფოებრიობის განსხვავებულ გზას, და ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორი ასახულია ამა თუ იმ ქვეყნის ჰერალდიკაში, რაც, ამავდროულად, საკმაოდ მრავალმნიშვნელოვანია, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქვეყნის ჰერალდიკა უნიკალურია, საუკუნეების განმავლობაში შემუშავდა ერთგვარი უნივერსალური სისტემა, ფუნქცია, სიმბოლოები და ამ სიმბოლოთა მნიშვნელობები. ყველაფერი ეს გვაძლევს უფრო მჭიდრო თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების საშუალებას უნივერსალური ჰერალდიკური ენის მეშვეობით.

თქვენ დაუღალავად და გამუდმებით ეწევით ჰერალდიკის პოპულარიზაციას არა მხოლოდ ყოველდღიური საკითხების განხილვით, არამედ უკვე ერთი ათწლეულის განმავლობაში ჟურნალ „ჰეროლდის“ გამოცემით, სხვადასხვა ჰერალდიკური ღონისძიების ორგანიზებითა და ჰერალდიკის უცხოელ სპეციალისტებთან მჭიდრო კონტაქტების დამყარებით. ყოველთვის სასიამოვნოა თქვენთან შეხვედრა საზღვარგარეთ სხვადასხვა ღონისძიებაზე და ძალიან თბილად გვახსენდება თქვენი ორი ვიზიტი ვილნიუსში. ვიმედოვნებთ, რომ კვლავ შემოგიერთდებით მსგავს ღონისძიებებზე და ვითანამშრომლებთ როგორც ჩვენი ქვეყნების ჰერალდიკის ცალკეული საკითხის გადაწყვეტაში, ასევე ჩვენი ქვეყნების ჰერალდიკის პოპულარიზაციაში საზღვარგარეთ.

გისურვებთ წარმატებებს და იმ პროგრესული ჰერალდიკური საქმიანობის განვითარებას, რასაც აქამდე ახორციელებდით ენთუზიაზმითა და შეუპოვარი მონდომებით.

We are delighted to congratulate you on the results of your great and consistent work. Your activities and engagement in the field of heraldry is an example to follow for all of us. lt is good to do our work when we know that in case we have any questions we will always be able to turn to you for discussion and share good professional practices. There are many countries in the world that have followed different paths of statehood, with their unique histories, cultures and mentalities. All this is also reflected in the heraldry that is created. The latter is very dualistic. Each country’s heraldry is unique, but over the centuries it has developed a universal system, functions, symbols, and meanings. This makes it possible for us to work even more closely together and understand each other in the universal language of heraldry. You have been coiistantly and tirelessly promoting it, not only by addressing current day-to-day heraldic issues, but also by publishing the periodical „Herold” for a decade now, by organizing various heraldic events and establishing close contacts with foreign heraldic specialists. lt is always a pleasure to meet you in various events abroad. We remember very warmly your two visits to Vilnius. We hope we will join you again in similar events and cooperate both in addressing individual heraldîc issues of our countries and in promoting the heraldry of our countries abroad. Good luck in your work. We wish you to continue developing successful heraldic activities that you have carried out so far with enthusiasm and relentless drive.

პეტრ ექსნერი – ჩემი პირველი შეხვედრა ქართულ ვექსილოლოგიასთან შედგა 2011 წელს, ქალაქ ვაშინგტონში, ვექსილოლოგიის საერთაშორისო კონგრესზე. იქ გავიცანი თამთა მელელაშვილი, რომელიც წარმოადგენდა საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს, ახალგაზრდა ორგანიზაციას, FIAV-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

ერთი წლის შემდეგ, ჩეხეთში საქართველოს ელჩის – ნინო ნაკაშიძის ეგიდით, გაიმართა შეხვედრა საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ელდარ შენგელაიასა და თავმჯდომარის მოადგილის მამუკა გონგაძის სახით და ჩეხეთის რესპუბლიკის დეპუტატთა პალატის ჰერალდიკისა და ვექსილოლოგიის ქვეკომიტეტის წევრებს შორის. მომდევნო წლებში ხშირად ვხვდებოდი სახელმწიფო საბჭოს წევრებს ჰერალდიკურ და ვექსილოლოგიურ კონგრესებსა და კონფერენციებზე ჩეხეთის რესპუბლიკაში, საქართველოსა და სხვა ქვეყნებშიც. 2017 წელს ქალაქ პრაღაში გაიმართა შეხვედრა ჩეხეთის ვექსილოლოგიურ საზოგადოებასა და საქართველოს ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს შორის.

2016 წელს ქალაქ თბილისსა და 2019 წელს ქალაქ მესტიაში გამართულ კონფერენციებზე საშუალება მქონდა, გავცნობოდი საბჭოს საქმიანობას საქართველოს ქალაქების გერბებისა და დროშების დამტკიცების სფეროში. ჩემთვის, როგორც პარლამენტის ქვეკომიტეტის ექსპერტთა ჯგუფის წევრისთვის, ეს საკითხი ძალიან საინტერესო იყო, რადგან ჩეხეთისგან განსხვავებით, საქართველოში სახელმწიფო საბჭო ბევრად უფრო დიდ გავლენას ახდენს სიმბოლოების შექმნის პროცესზე. ეს, რა თქმა უნდა, იმითაც არის განპირობებული, რომ ჩეხეთის რესპუბლიკაში არსებულ ექვსი ათასზე მეტი მუნიციპალიტეტისგან განსხვავებით, საქართველოში მათი რიცხვი სულ რამდენიმე ათეულს შეადგენს. თუმცა, რადგან სახელმწიფო საბჭო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გერბებისა და დროშების შექმნაზე, შედეგად ვიღებთ უნიკალურ, ყოვლისმომცველ და ჰერალდიკურად და ვექსილოლოგიურად გამართულ, მაღალი ხარისხის მუნიციპალური სიმბოლოების სისტემას.

მე ძალიან ვაფასებ საქართველოში გატარებულ დროს და მიღებულ გამოცდილებას და აგრეთვე მადლობელი ვარ იმ დაუვიწყარი

შთაბეჭდილებებისთვის, რომლებიც უკავშირდება ქართველ ხალხს, საქართველოს ისტორიას, კულტურას, არქიტექტურას, მეღვინეობასა და სამზარეულოს. ამ ბოლო წლების განმავლობაში კორონავირუსის პანდემიამ სამწუხაროდ შეამცირა პირადი კონტაქტები, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ უახლოეს მომავალში ჩვენ ისევ შევხვდებით ერთმანეთს. მანამდე კი ვაგრძელებთ ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარებას ელექტრონული კომუნიკაციის მეშვეობით.

My first meeting with Georgian vexillology took place in Washington at the International Congress of Vexillology in 2011. There I met Tamta Melelashvili, who represented the State Council for Heraldry at the Parliament of Georgia, in connection with the admission of this three-year-old organization to the FIAV. A year later, under the auspices of Georgian Ambassador Nino Nakashidze, contact was established between the State Council for Heraldry at the Parliament of Georgia, led by its representatives Eldar Shengelaia and Mamuka Gongadze, and members of the Subcommittee on Heraldry and Vexilology of the Chamber of Deputies of the Parliament of the Czech Republic. In the following years, I often met with members of the State Council as part of my participation in heraldic and vexillological congresses and conferences in the Czech Republic, Georgia and elsewhere. A contact was established between the Czech Vexillological Society and the georgian State Council for Heraldry in November 2017 in Prague.

At the conferences in Tbilisi in 2016 and in Mestia 2019, I had the opportunity to get acquainted with the activities of the council on the creation

of emblems and flags of cities in Georgia. It was very interesting for me, as a member of the expert group of the parliamentary subcommittee, because, unlike in the Czech Republic, the State Council in Georgia has a much greater influence on the process of creating symbols. This is certainly also due to the fact that, in contrast to more than six thousand municipalities in the Czech Republic, which are entitled to a coat of arms and flag, there are only a few dozen in Georgia. However, the Council of State mainly has a significantly greater influence on the creation of emblems and flags, and the result is a unique, comprehensive and heraldically and vexillologically high-quality set of symbols.

I really appreciate the possibility of personal meetings at unforgettable conferences in Tbilisi or Mestia, and I am grateful for the experiences associated with meeting Georgians and Georgian nature, architecture, food and wine. The coronavirus pandemic in recent years has reduced these personal contacts, but I hope that electronic communication also allows for the necessary exchange of information, experience and we will be able to meet again in the coming years".

ვებგვერდის აღწერილობა

2011 წელს გაიმართა საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს ვებგვერდის www.heraldika.ge პრეზენტაცია.

აღნიშნული ვებგვერდზე თავმოყრილია როგორც ქართული ჰერალდიკის ისტორია და საარქივო მასალები, ისე დღევანდელობა.

ვებგვერდი წარმოგიდგენთ: ინფორმაციას ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს საქმიანობის შესახებ;

სახელმწიფო სიმბოლოებს, ავტონომიური რესპუბლიკების სიმბოლოებსა და პროექტებს, თვითმმართველი ქალაქების სიმბოლიკას;

10 წლის განმავლობაში მიღებული და დამტკიცებული საქართველოს მუნიციპალიტეტის საკრებულოების სიმბოლოებს: გერბი, დროშა და მათი ბლაზონები (აღწერილობები);

ჰერალდიკურ ლიტერატურას (წიგნები, ბროშურები, ატლასები);

სახელმწიფო სიმბოლოების აღმართვისა და გამოსახვის წესს;

კავკასიის ჰერალდიკას;

ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს მიერ ევროპის მუზეუმებში, ბიბლიოთეკებსა და არქივებში მოძიებული შუა საუკუნეების პორტოლანებს (საზღვაო რუკებს).

საიტზე ატვირთულია კანონები სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ ქართულ და ინგლისურ ენებზე და ამ კანონების მიღების შემდგომ დამტკიცებული სიმბოლოები.



ჟურნალ „ჰეროლდის“ მე-10 ნომრით სრულდება ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს სამეცნიერო-პოპულარული საგამომცემლო საქმიანობა. ამ ეტაპზე ჰერალდიკის საკითხებში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, სიმბოლოების შესახებ არსებული ისტორიული მასალების საზოგადოებისთვის და უცხოელი საექსპერტო წრეებისთვის გაცნობის ძირითადი ამოცანა შესრულებულად მიგვაჩნია. მომავალში საბჭო ბეჭდური სახით აწარმოებს მხოლოდ სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოებთან დაკავშირებული სიახლეების, ცვლილებების, საკანონმდებლო აქტებისა და სამეცნიერო კვლევების გამოქვეყნებას.

The 10th issue of the almanac "Herold" concludes the decade of popular science publishing, performed by the State Council of Heraldry. At this stage we consider the main task of familiarizing the public and foreign experts with the main directions of state policy towards heraldry, historical sources and materials to be accomplished. Future publications by the Council will only concern the news, legislative acts and scientific researches related to State symbols and symbols of State importance.